პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1980 წელი ოთხშაბათი 6 აგვისტო № 180 (17823) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

მ ი წ ა — წ ყ ა ლ ი — მ ო ს ა ვ ა ლ ი

ჭირნახულისათვის ბრძოლის გადამწყვეტი ეტაპი

მცირე მელიორაციის სიკეთე

მორიგი სხდომა გამართა ხანგრძლივი გვალვის შედეგების ლიკვიდაციისა და 1980 წლის მოსავლის დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის რესპუბლიკურმა საგანგებო შტაბმა, რომელსაც თავმჯდომარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე.

შტაბის სხდომაზე მოისმინეს რეგიონალური შტაბების ხელმძღვანელთა ინფორმაციები: დასავლეთ საქართველოს რაიონების ზონისა — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ნ. ა. ჯითანავასი, ქართლის რაიონების ზონისა — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის შ. მ. იცადაშვილისა, სამხრეთ ოსეთის რაიონების ზონის — პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნის ნ. ა. ოდიშვილისა.

აღინიშნა, რომ მთლიანად დასახლებულ რეგიონებში ძლიერდება ბრძოლა მომდინარე წლის მოსავლისათვის, უკეთ და უფრო ოპერატიულად წყდება ბევრი ორგანიზაციული საკითხი, მაღლდება ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოების მუშაობის ეფექტიანობა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების უცილობელი შესრულებისათვის მშრომელთა დასარაზმავად. რეგიონალური შტაბების განსაკუთრებული ზრუნვის საგანია ერთწლოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მრავალწლოვანი ნარგავების ეფექტიანი რწყვის ორგანიზაცია, კერძოდ, ღამის რწყვის ფართო დანერგვა, მინერალური სასუქებზე, ტექნიკაზე, საწვავ-საპონ მასალებზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენებისადმი, არ დაუშვან ნაკლოვანებანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის აღების დროს, უზრუნველყონ ჭირნახულის დაცვა-შენახვა, ჩაატარონ ამ საქმეში საზოგადოებრივი ორგანიზაციები, გააქტიურონ ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობა. ოპერატიულად უნდა ეხმაურებოდნენ წლევანდელი მოსავლის დატაცებისა და დანიავების ყოველ ფაქტს, გახადონ იგი პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მეშვეობით ფართო განხილვის საგნად, გაამკაცრონ კომბინატორთა, მომხვეჭელთა, საზოგადოებრივი დოვლათის დამტაცებელთა დასჯის ღონისძიებები.

აღნიშნული რეგიონების ბევრ რაიონზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული თბილისის, რუსთავის, რესპუბლიკის სამრეწველო ცენტრებისა და კურორტების ხილბოსტნეულით, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტებით მომარაგება, ამ რაიონების პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელები მოვალენი არიან პერსონალურად აგონ პასუხი იმისათვის, რომ არ დაუშვან დანაკარგები.

რესპუბლიკურმა შტაბმა აღნიშნა მეჩაიობაში დღევანდელი გეგმების შესრულების მხრივ შექმნილი გარკვეული დაძაბული ვითარება და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაავალა შეიმუშაოს და განახორციელოს მეჩაიეობის, რაიონების პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებთან ერთად კონკრეტული ღონისძიებანი, რათა აგვისტოშიც უზრუნველყონ ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფისა და გადამუშავების ივლისის ტემპი.

რესპუბლიკური შტაბის სხდომაზე საგანგებოდ აღინიშნა, რომ რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოები მოწოდებული და მოვალენი არიან ყველაფერი იღონონ, რათა საქართველოს მშრომელები შეუფერხებლად მოამარაგონ ველ-მინდვრების, პლანტაციებისა და ფერმების მაღალხარისხოვანი საქონი ასორტიმენტის პროდუქციით, რათა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა თავიანთი ნაზრი სრულფასოვანი საკვებით, გაანაღდონ რესპუბლიკის საჭიროებებისათვის ხილისა და ბოსტნეულის მომარაგების გეგმები და საკავშირო ფონდში სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდების ვალებები.

რესპუბლიკური შტაბის სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

რესპუბლიკური შტაბის სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ მთლიანად დასავლეთ საქართველოს, ქართლისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონალურმა შტაბებმა, პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს ხანგრძლივი გვალვის შედეგების დასაძლევად და წლევანდელი მოსავლის დაცვა-შენახვის უზრუნველსაყოფად. ამასთანავე ამ მხრივ ჯერ კიდევ დაძაბული მდგომარეობაა, ვინაიდან მოსულმა წვიმამ ყველგან ვერ უზრუნველყო საკმარისი რაოდენობის ტენის დაგროვება ნიადაგში.

პრაქტიკამ დამაჯერებლად დაამტკიცა, თუ რაოდენ აქტუალურია დასავლეთ საქართველოს რაიონებში, კერძოდ, ჩაის პლანტაციებში, ციტრუსის ბაღებში, ერთწლოვანი კულტურების ნარგავებში რწყვის ფართო მასშტაბით დანერგვის პრობლემა, ამასთან, ადგილობრივი წყლის რესურსების მდიდარი შესაძლებლობების, კერძოდ, გრუნტის წყლების, მცირე მელიორაციის გამოყენება. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროები, „საქსახსოფტექნიკა“ ამთავითვე უნდა შეუდგნენ დასავლეთ საქართველოს რაიონებში კულტურების, ფართობების გათვალისწინებით, საჭირო ტექნიკის შეტანის, მრწყველთა კადრების მომზადების, მთლიანად სარწყავი მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების შესაძლებლობათა კომპლექსურ შესწავლას, რათა გაისად ყველა რაიონს ჰქონდეს ამ მიმართულებით მოუმზადის მთლიანი პროგრამა.

იმის გამო, რომ ამჟამად მოსავლისათვის ბრძოლის გადამწყვეტი ეტაპი დადგა, პარტიულმა კომბინატმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა ყველგან უნდა გააძლიერონ კონტროლი სარწყავი წყლის ეფექტიანი გამოყენებისადმი, არ დაუშვან დანაკარგები სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის აღების დროს, უზრუნველყონ ჭირნახულის დაცვა-შენახვა, ჩაატარონ ამ საქმეში საზოგადოებრივი ორგანიზაციები, გააქტიურონ ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობა. ოპერატიულად უნდა ეხმაურებოდნენ წლევანდელი მოსავლის დატაცებისა და დანიავების ყოველ ფაქტს, გახადონ იგი პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მეშვეობით ფართო განხილვის საგნად, გაამკაცრონ კომბინატორთა, მომხვეჭელთა, საზოგადოებრივი დოვლათის დამტაცებელთა დასჯის ღონისძიებები.



ზ ორის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელები ამ დღეებში დაძაბულად მუშაობენ და რთულ პირობებში იბრძვიან გვალვისაგან მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის მოსავლის გადასარჩენად. 3.030 ჰექტარზე უკვე მომკილია თავთავიანი კულტურები, ამასთან მხვნელ-მთესველებმა ჰექტარზე აიღეს 26,5 ცენტნერი მარცვალი გეგმით გათვალისწინებული 22,8 ცენტნერის მაგიერ. შარშანდელთან შედარებით გაცილებით მეტი საკვები დაამზადეს მეცხოველეებმა — 22 ათასი ტონა სენაჟი და 4.100 ტონა თივა. დაბლობ ადგილებში თიბვის დამთავრებისთანავე საკვებდამამზადებლებმა მთის მდელოებზე გადაინაცვლეს.

რაიონში სარწყავ მიწებს 38.768 ჰექტარი უკავია. პაპანაქება ხიცხისაგან გადახრუკული დედამიწისათვის 113 წყლის გამანაწილებელი საგუშაგო რაიონალურად ანაწილებს მაცოცხლებელ ტენს.

ზორის რაიონის მეურნეობებში დაიწყო კურკოვანი ხილის კრეფა. თითოეული მებაღე დღეში კრეფს 500 კილოგრამ ხილს — 2,5-ჯერ მეტს, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული.

მცირე მელიორაციის გამოყენებით მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის მოსავლის შესანარჩუნებლად წარმატებით იბრძვიან ზორის რაიონის მშრომელები.

სურათებზე: მარჯვნივ — მელიორაციის სამმართველოს უფროსი რევაზ ალავიძე, საბოფლო-სამეურნეო ხაზარმოო გაერთიანების მთავარი აგრონომი ალექსი ქარელი და გვალვასთან ბრძოლის შტაბის წევრები თენგიზ ბერიძე და მალხაზ ჩხენკელი; გვალვასთან ბრძოლის შტაბმა დაადგინა: ქიწნისის სანერგე საბჭოთა მეურნეობაში პირველ რიგში უნდა მიიღონ წყალი დამატებით.

ბ. ნასუნცრიშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოკორესპონდენტი).

ქუდგე კაცი მოსავლის გადასარჩენად!

ვანი. (ტელეფონით „კომუნისტის“ საკ. კორ.). პარტიის ვანის რაიონულმა კომიტეტმა საგანგებო ჯგუფები შექმნა გვალვისაგან მოსავლის გადასარჩენად. რაიონის ყველა კუთხე-კუნჭულში ქუდზე კაცი გამოვიდა ასობით ჰექტარი ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების გადასარჩენად.

ხანგრძლივი გვალვა ყველაზე უფრო ბოსტნებს დაეტყო, რომლებსაც 620 ჰექტარი უჭირავს და საიდანაც წელს 86.600 ცენტნერი მოსავალი უნდა მოიწიონ. გვალვას ენერგიულად უტევენ ვანის მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი — დ. მებურიშვილი, პარტიული კომიტეტის მდივანი — ო. დვალიშვილი) მუშები. დღედაღამ არ წყდება სტიქიასთან ბრძოლა. 331 ჰექტარი ბოსტნების მოსავლის გადასარჩენად ყოველდღე 400-500 კაცი გამოდის მდინარე ყუმურის წყლის ბაღ-ბოსტნებში მისაშვებად.

სტიქიას აქტიურად ებრძვიან სოფელ ტობანიერის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე — ჯ. კეკელიძე, პარტიული კომიტეტის მდივანი — ი. ვაშაყმაძე) მშრომელები. ქუბას იმსახურეს კოლმეურნეები თ. და ი. ბელთაძეები, თ. კაკაძე, ი. გიორგობიანი, ბ. ბურკაძე, ნ. მინაშვილი და სხვა მრავალი.

ამ საგანგაშო დღეებში ფიზიკურ დგანან რაიონის წარმოებადაწესებულებების მუშა-მოსამსახურეები და მხვნელ-მთესველებთან ერთად ერთგულად შრომობენ მოსავლის გადასარჩენად. ამ მხრივ ცალკე აღნიშვნის ღირსია რაიონული საავტომყოფოს ავტოსატრანსპორტო წარმოების, საბუღო მეურნეობისა და სხვა დაწესებულებათა მუშაკების მუყაითი შრომა. ისინი კოლმეურნეებთან და საბჭოთა მეურნეობის მუშებთან ერთად ებრძვიან გვალვას.

— ამ გაჭირვებაში დახმარების ძმური ხელი გამოგვიწოდეს ქუთაისის კომუნალურ საწარმოთა მეურნეობების მუშაკებმა, — გვეუბნება ვანის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროსი დ. მებურიშვილი, — რომლებმაც ხუთი სარწყავი მანქანა-ცისტერნა დაგვიგზავნეს და სულ ცოტა 30-40 ჰექტარი ბაღ-ბოსტანი საგანგებოდ მოგვირწყეს.

ბ. ჩხაიძე.

წყლის პირას ხე ხმება, ნათესები ჭკნება

სიცხისაგან გათანგული მიწა მძიმედ სუნთქავს. სიმინდს, შაქრის ჭარხალს, კარტოფილსა და ბოსტნეულს ფოთლები ჩამოუყრია, სწყურია მეცნიერს. პატარა ლაბავნის მაცოცხლებელი წყალი კი უხვად მოედინება (ხანგრძლივ რაიონს დმენისის კოლმეურნეობის მიწებზე. სოფლის გზებზე, ორღობეებში მოჩხრიალებს ნაკადული, მრწყველი კი არა ჩანს.

ბრიგადირ გრიგოლ საგაძეს ფართობები დავათვალიერეთ. დაბერებული ხეხილი 14 ჰექტარზე ამოძირკვეს. მოგვიანებით მის ადგილას შვრია დათესეს, მიწა მოურწყველობით გაჩხმარა, შვრიასაც ტანი ვერ აუყრია. მისი სიმაღლე სულ 15-20 სანტიმეტრია. მის გვერდით მორკეკავი რო თხუთმეტ ჰექტარიან ხეხილის ბაღებში ფუჭად მიედინება, აქაოდა, ესეც დაბერდაო. წელს რიგთშორისების მოსახნავად ტრაქტორი არ შეუყვანიათ და არც ხეების ძირები შემოუბარავთ. გაყამირებული ბაღი წყლის სიჭარბით ჭაობდება. ამ ადგილებში მხოლოდ ბუნებრივი ბალახი გაუთიბავთ, იგ არის და იგ.

უგულო უნდა იყო კაცი, რომ ამ ახალი, ზაგრამ მოუვლელი ხეხილის ბაღის ხილვამ არ აგაღელვოს. წელს ვაშლის ხეებმა პირველად მოისხა. წყალი და სასუქიც მეტი უნდა მეცინარეს, მაგრამ ალაგ-ალაგ მიწას პირი ისე დაუოია, რომ ფესვები ჩანს — ნაპრალის სიღრმე 25-30 სანტიმეტრია, სიგანე 5-7 სანტიმეტრი. თუ წყალი დროზე არ შეაშვებენ, ნაყოფი ჩამოცვივა, ხეც გახმება. არც შაქრის ჭარხლის ნათესები გამოიყურება უკეთესად. წყალი კი მიუგდიათ, მაგრამ თვალუყური არ მიუდევნებიათ. სარეველა მორეკილია მცენარეს.

ამ სიმინდს უკეთესი პირი უჩანს, მაგრამ ისიც უსისტემოდ ირწყვება. 28 ივლისის ცნობით, 30 ჰექტარი სიმინდის ფართობიდან მხოლოდ 10 ჰექტარი მორწყეს. დმენისელთა საკომბინატო ნაკვეთები გამუდმებით ირწყვება, საზოგადოებრივი კი მხრუნველობას ითხოვს. კოლმეურნეობის გამგეობამ (თავმჯდომარე — ი. გაგიური) ვერ შეძლო მოეწესრიგებინა ზომის ორგანიზაცია და განემტკიცებინა შრომის დისციპლინა.

ცხადია, დმენისელები ნათესებისა და ხეხილის ბაღებისადმი ასეთი დამოკიდებულებით, ისევე როგორც შარშან, წელსაც ვერ მიაღწევენ სასურველ მიზანს—ვერ შესრულდება ხილის, სიმინდის, შაქრის ჭარხლის, ბოსტნეულის მოსავლიანობის გეგმები.

ბ. თედეევი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ენგურელი ჩქაროსნები

ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის კოლექტივი გაეცნო სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „სკკპ XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“, გადასინჯა წინათ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები და გადაწყვიტა მეათე ხუთწლედის დავალებები შეასრულოს არა 21 დეკემბრისათვის, არამედ 7 ნოემბრისათვის. ასეთი წინადადება წამოაყენა კომბინატის უფროსმა მემანქანემ დავით ფარცვანიამ.

... დავით ფარცვანიას ასეთი ჩვეულება აქვს: ცვლის დამთავრებისას აუცილებლად უნდა მივიდეს მანქანის ბოლოში, ხელი გადაუსვას სწრაფად მბრუნავ ახალი ქაღალდის რულონს. ეს პროფესიული მოძრაობაა — უფროსმა მემანქანემ უნდა იგრძნოს სწორად ლაგდება თუ არა ლენტი გორგოლაჭზე.

ქარის სისწრაფით — წუთში 300 მეტრზე მეტი — კომბინატის ვეებერთელა მალებს შორის იბადება მისი პროდუქცია, რომელზეც შემდეგ იბეჭდება გაზეთები, წიგნები, ჟურნალები. სულ უფრო მეტი ქაღალდია საჭირო. ენგურელებმა კარგად იციან ეს და ამიტომ ზრდიან თავიანთ წარმატებებს. მათ იკისრეს წლის ბოლომდე დავალების გადამეტებით გამოუშვან ასი ათასი მანეთის ქაღალდი — ეს იქნება ვალდებულების გადაჭარბებით, რომელიც მათ უკვე შეასრულეს.

შეჯიბრებაში ტონის მიმცემია მეექვსე მანქანის ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანელობს დ. ფარცვანია და რომლის ანგარიშზეა ზეგეგმითი პროდუქციის თითქმის მესამედი.

ამ კოლექტივში თავი მოიყარეს მოუსვენარმა ადამიანებმა.

... აგრეგატი გაჩერეს ილექტროამძრავის შესაცვლელად. მუშებმა არ დაიცადეს, სანამ ამ საქმეს სპეციალისტები მოჰკიდებდნენ ხელს და თვითონ შეუდგნენ გამოცვლას. და აგრეგატის გაჩერების დრო ორჯერ შემცირდა. მანქანის ვადამდე ამუშავების ხარჯზე ბრიგადამ 500 ტონაზე მეტი ქაღალდი გამოუშვა. ახლა მათი საზრუნავია მანქანის მწარმოებლობა გადადიოს აგრეგატის ბრუნვის სიჩქარის გაზრდის გზით.

ბალახნის კომბინატის თანამოსაქმეთა მაგალითისამებრ მანქანის ბადურა ტანი შეცვალეს სინთეზურით და ენგურელებმა ახალ მაჩვენებელს მიაღწიეს — 400 მეტრი ქაღალდი წუთში. ეს კი დღეღამეში თითქმის ერთი ტონა ქაღალდია გეგმის დამატებით. ზოგჯერ, თუ კარგი ნედლეული მოდის, დ. ფარცვანიას ბრიგადა 500 მეტრ ქაღალდსაც იძლევა წუთში. (საქინფორმი).

დოკერ—მექანიზატორთა წარმატება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სკკპ XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“ ბათუმის ნავსადგურის კოლექტივის ყურადღების ცენტრშია.

ნავსადგურელები თავდადებით იბრძვიან მათ წინაშე მდგომი ამოცანების გადასაწყვეტად. ნახევარ წელიწადში აქ 7 თვის გეგმა შესრულდა. ასეთი წარმატება განაპირობა მთელი კოლექტივის, დოკერ-მექანიზატორთა კომპლექსური ბრიგადის დაუღალავმა შრომამ. მათ შორის არიან ნ. ვასილიევის, ვ. ბოლქვაძის და გ. კახიძის ბრიგადები, რომლებიც ცვლის დავალებებს გადაჭარბებით ასრულებენ.

დოკერების, მექანიზატორებისა და სხვა მუშაკების შეთანხმებული მუშაობის შედეგად იზრდება დრო, რომელიც სჭირდება გემის დამუშავებას და რეისში მის გაშვებას.

ნავსადგურის კოლექტივმა, რომელიც პირველი ჩაება საყრილობო სოციალისტურ შეჯიბრებაში, გადაწყვიტა წლიური გეგმა ერთი თვით ადრე შესრულოს და ამით ღირსეულად შეხვდეს სკკპ XXVI ყრილობას და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას.

მ. ბორგილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

საბჭოები და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა

ახლახან გამართულ რესპუბლიკურ თათბირ-სემინარზე განხილეს მეთერთმეტე ხუთწლედისათვის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტიული გეგმების დამუშავებასთან დაკავშირებული საკითხები სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად. თათბირ-სემინარზე მოიწვიეს სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების მუდმივი საგეგმო-საბიუჯეტო კომისიების წარმომადგენლები.

თათბირ-სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ზ. ა. ჩხეიძემ.

მოხსენებები გააკეთეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ დ. ლ. ქართველიშვილმა, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა ფ. ა. ანანიაშვილმა, სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველმა ვ. ა. პატეიშვილმა. გამოსვლებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა გავაუმჯობესოთ ტერიტორიული და დარგობრივი, მოკლევადიანი და გრძელვადიანი დაგეგმვა, განვახორციელოთ მატერიალური წარმოების ძირითად სფეროებში მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების გადამწყვეტი ღონისძიებანი.

სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების საგეგმო-საბიუჯეტო კომისიების თავმჯდომარეები შეიხვნენ მეურნეობრიობის ახალი მეთოდების დანერგვის პირველი პრაქტიკული ღონისძიებებს.

თათბირ-სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ზონალური საბჭოების თავმჯდომარეები ბ. ბ. ბერიძე, ბ. ბ. ბაბალიანი, ბ. ბ. ბოლქვაძე, ბ. ბ. ბ.

პარტიული ცხოვრება

თითოეულისა და ყველას საქმე

პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე

— **მაპარგებსა** და მომსახურების ლ, საერთოდ, ნებისმიერ სფეროში მომხდარი დანაშაულის თანამონაწილეა ყველა, ვის გვერდითაც ეს დანაშაული ხდება, და ვინც „რა ჩემი საქმეაა“ პოზიციიდან გულგრილად უცქერის მას. უნდა ამაღლდეს საზოგადოების როლი დანაშაულობათა წინააღმდეგ, ყველგან და ყველაფერში სანიმუშო წესრიგის დამყარებისათვის ბრძოლაში ყველამ, დიდმა და პატარამ, გულთან ახლოს უნდა მიიტანოს ეს საკითხი, რადგან იგი მარტო ჩვენ, თანამედროვეებს კი არა, ჩვენს მომავალს, ახალგაზრდობას ეხება...

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მოწინავე ზეინკლის ი. ჯღამაძის ამ სიტყვებში სავსებით აისახა პარტიის საქალაქო კომიტეტის ახლახან გამართული იმ პლენუმის თითოეული მონაწილის საერთო გულისთქმა, მისწრაფება და შეხედულება, რომელმაც განიხილა საკითხი — „სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საზოგადოების ერთ ნაწილში მომხმარებლური ფსიქოლოგიისა და მავნე წესჩვეულებების დაძლევის მიზნით ქალაქის პარტიული ორგანიზაციის მიერ გაწეული მუშაობისა და მისი ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“.

მომხსენებელმა, პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. რუხაძემ და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ქალაქის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგს ჯერ კიდევ დიდ ზარალს აყენებს სოციალისტური საკუთრების დაცვისადმი გულგრილი, დაუდევარი დამოკიდებულება, რაც კერძო-საკუთრული ინსტინქტებით შეპყრობილ ცალკეულ ელემენტებს სახალხო დოვლათის ხელყოფის საშუალებას აძლევს. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ქალაქის მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოებში. ამ ბოლო ორი წლის მანძილზე აქ გამოვლინდა წვრილმანი ქურდობის 2,127 შემთხვევა, რამაც 10 ათას მანეთამდე მატერიალური ზარალი მიაყენა სახელმწიფოს.

ამავე პერიოდში ძარცვით, ქურდობით, თაღლითობით და სხვა საშუალებებით გაფლანგეს და დაიტაცეს 270 ათას მანეთამდე ღირებულების სახალხო დოვლათი. შარშან და წელსაც ამ მხრივ მეტად საგანგაშო ფაქტები გამოვლინდა ქალაქის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებში, მაუდის ფაბრიკაში, სახლთსაშენებელ და ავეჯის კომბინატებში, „ხილბოსტნეულჭარხლის“ გაერთიანებაში, № 4 სამშენებლო ტრესტის კომპლექტაციის სამმართველოში, ადგილობრივი მრეწველობის რიგ საწარმოებში, ლითოფონის და ცეკავშირის სავაჭრო ბაზებში და ა. შ. საგულისხმოა ისიც, რომ საუწყებო და არასაუწყებო დაცვის სანგარეშო-საყარიცხვო სამსახურის მუშაკები, რომლებიც მოწოდებული არიან ებრძოლონ მსგავს დანაშაულობებს, ზოგჯერ დაუდევრობით, დოყლაპიობით თუ გაუმართლებელი უყურადღებობით ხელს უწყობენ კიდეც ბოროტმოქმედებს. ამ მხრივ სათანადოდ არ მუშაობენ ადმინისტრაციული ორგანოებიც.

ნეგატიური მოვლენების რიცხვი ჯერ კიდევ დიდია ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში. შარშან და მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სარევიზიო-საკონტროლო ორგანოებმა მოსახლეობის საავჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემაში გამოავლინეს 1200-მდე დარღვევადამახინჯება.

სწორედ ამ საკითხებზე ისაუბრეს პლენუმზე შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსმა ბ. ბალავაძემ, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსმა ქ. ოკლაბან და სხვებმა.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა ვრცლად ილაპარაკეს შრომელთა სამედიცინო, კომუნალურ, სატრანსპორტო მომსახურებაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე, სხვადასხვა „სახეობის დანაშაულზე, რომელიც აქ საკმაოდ ხშირად ხდება. პლენუმზე მოიყვანეს ერთი ასეთი ფაქტი: ბოლო ორი წლის მანძილზე საქალაქო საბჭოს ალმასკომმა კერძო ბინათმშენებლობისა და რეკონსტრუქციისათვის 160-ზე მეტი პროექტი გასცა. ამ მოცულობის სამშენებლო სამუშაობისათვის საჭიროა სულ მცირე 2.100 ტონა ცემენტი, 5.800 ათასი ცალი აგური, 4500 კვადრატული მეტრი მინა, 51 ტონა თუნუქი, 7 ათასამდე ცალი შიფერი, 500 ტონა ლითონი, 6 100 კუბური მეტრი ხე-ტყე. თუ გავითვალისწინებთ, რომ ინდივიდუალური ბინათმშენებლობის სამსახურსა და საცალო ვაჭრობის ქსელს ამ პერიოდში მიღებული ლიან ხშირად არასრულწლოვანი მოსწავლეები ჩადიან სხვადასხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედობას, დანაშაულს. სწორედ ამიტომ კომკავშირის საქალაქო და რაიონული რგოლების, პარტიის რაიონული კომიტეტების გადაუდებელი ამოცანაა ახალგაზრდობის პრობლემების სწორი მართვა, ყოველდღიური, პრაქტიკული, კონკრეტული მუშაობა მომავალი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის.

პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საზოგადოებრივი მატერიალური დოვლათის მოხმარებასა და განაწილებაში აშკარა დისონანსი შეაქვს მავნე ადათ-ჩვეულებების, რიტუალების აღსრულების პროცესებს. წრეგადასული ჭორწილებისა და ქელეხების ანგარებიანმა ხასიათმა შეურაცხყო წმინდა ადათ-წესების იდეური შინაარსი, მძიმე ეკონომიურ ტვირთად დააწვა მშრომელ ადამიანებს.

ითქვა ისიც, რომ ნაკლები ყურადღება ექცევა სასაფლაოთა მეურნეობის მოწესრიგებას. ბევრგან სასაფლაოები გამომძძალველობის და საქმოსნების სარბიელად იქცა, უქმად იკარგება ძვირფასი სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალა. პლენუმზე მოიყვანეს ასეთი მაგალითი: ქალაქის ერთ-ერთ სასაფლაოზე 100-მდე საფლავი აზომეს და გახარჯული აღმოჩნდა 150 კვადრატული მეტრი ძვირადღირებული მოსაპირკეთებელი ქვა, 500 კვადრატული მეტრი გრანიტი, 570 კვადრატული მეტრი ფილა, 180 ტონა ცემენტი და სხვ. ასეთი ხარჯები სრულიად საკმარისია ოთხი 50-ბინიანი სახლის ასაგებად.

პლენუმზე აღინიშნა, რომ სათანადოდ არ მუშაობენ ადმინისტრაციულ ორგანოთა მუშაკები. უკანასკნელ პერიოდში ქალაქში მექრთამეობისა და გამომძალველობის წინააღმდეგ ბრძოლას არ ეთმობა სათანადო ყურადღება. ამის გამო და სხვადასხვა დანაშაულისა და გადაცდომისათვის უკანასკნელი 2 წლის მანძილზე მილიციის ორგანოებიდან დაითხოვეს ან გაანაძევეს 39 მუშაკი.

შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილებები, უბნის ინსპექტორები საკმარის ღონისძიებებს არ ახორციელებენ იმ პირთა ასალაგმად, რომელთაც არ სურთ ეზიარონ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, სათანადოდ არ იღვწიან მათი დასაქმებისათვის, კერძოდ, ბოლო ორ წელიწადში გამოვლინდა ათობით მუქთახორა, მაგრამ დღეისათვის მათგან მხოლოდ 55-60 პროცენტია დასაქმებული. სათანადო პროფესიული მეთოდებით არ ებრძვიან სპეკულაციას, ლოთობას, ალკოჰოლიზმს, ნარკომანიას და სხვა დანაშაულობებს.

პლენუმზე სათანადო ყურადღება დაეთმო მოსახლეობის ათეისტური აღზრდის საკითხებს. აღინიშნა, რომ ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილი მონაწილეობს რელიგიურ დღესასწაულებში, მოქცეულია ეგრეთწოდებული „ღმერთის მოციქულთა“ გავლენაში, რომ პარტიის რაიონული კომიტეტები ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ ხელმძღვანელობენ მომხმარებლური ფსიქოლოგიისა და წარსულის მავნე წეს-ჩვეულებების ლიკვიდაციისათვის ბრძოლას. იგივე უნდა ითქვას საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების საქმიანობაზეც. მავნე წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლისა და ახალი საბჭოური ტრადიციების დამკვიდრების საქალაქო შტაბსაც, შექმნის დღიდან, ფაქტობრივად არაფერი გაუკეთებია.

პარტიის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა დასახა ღონისძიებანი აღნიშნულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ.

პლენუმმა აგრეთვე დაადგინა, რომ საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციის XXXIII კონფერენცია მოიწვიონ მომდინარე წლის 20 დეკემბერს.

დ. გედენიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ტერიტორიული ორგანიზაციები და კომუნისტები

თქმაც და შესრულებაც

ყველა პარტიულ ორგანიზაციას აქვს თავისი საფიქრალი და საზრუნავი, ტერიტორიულ პარტიულ ორგანიზაციებს კი უფრო მეტი. ეს არც გასაკვირია. სახალხო დეპუტატთა საბჭოებს მოსახლეობის მომსახურების ძალზე დიდი მისია აკისრიათ. აქ იყრის თავს საჩივრები, განცხადებები ისეთი მნიშვნელოვანი, საჭირბოროტო საკითხების შესახებ, როგორიც გზა, წყალი და სინათლეა, და რაც უფრო ძლიერი, ბრძოლისუნარიანი, აქტიურია პარტიული ორგანიზაცია, მით უფრო მეტი კეთდება ხალხის საკეთილდღეოდ. საამაყოდ, ჩვენი პარტიული ორგანიზაცია ამას ვერ დაიკვეხნის. ორმოცი კომუნისტი კი ირიცხება ორგანიზაციაში, მაგრამ დიდ აქტიურობას არც ერთი არ იჩენს.

თერჯოლის რაიონის სოფელ ჩხარის ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციის მდივნის გ. გრძელიძის წერილში სწორად იყო დაყენებული საკითხი, რომ გამოცდილი, პასუხისმგებელი ამხანაგები პენსიაზე გასვლის შემდეგ აღრიცხვაზე გადავიდნენ ტერიტორიულ პარტორგანიზაციაში. ეს პრაქტიკა მართლდება, მაგალითად, ჩვენს პარტიულ ორგანიზაციაში ირიცხებიან ყოფილი მილიციის უფროსი ი. ნანობაშვილი, მოსამართლე ე. ბეიტარიშვილი, ნოვატორი ბრიგადირი, სოციალისტური შრომის მგრი გ. ბარნაბიშვილი და სხვები. ისინი აქტიური კომუნისტები არიან, ყველგან და ყველაფერში გაბედულ, პრინციპულ, აქტიურ პოზიციას ადგანან, კრებებზე მათ არაერთხელ პირდაპირ უთქვამთ: წითელწყაროს ქალაქის სახელი კი ჰქვია, მაგრამ ქალაქის შესაფერისი არც გზა, არც წყალი და არც განათება არა აქვსო. მაგალითად, შარშან, ქალაქის კეთილმოწყობისათვის გამოყოფილი 181.000 მანეთიდან ნახევარიც არ აუთვისებიათ. არც ერთ ქუჩაზე არ დაგებულა ასფალტი, არ მოწყობილა ბოგირი თუ ღვარსაშვები. ცენტრალურ ქუჩებში, როგორც იტყვიან ხოლმე, ეშმაკიც კი ფეხს მოიტეხს.

რა შეეძლოთ გაეკეთებინათ პარტიულ ორგანიზაციას, კომუნისტებს? კრებაზე ვიმსჯელეთ, დაავალგინეთ, ოფიციალურად მივწერეთ სარემონტო კანტორის უფროსს ა. ელაშვილს, სიტყვიერადაც რამდენჯერმე შევახსენეთ. მას შემდეგ წელიწადზე მეტი გავიდა. საქმე კი წინ არ წასულა.

ჩვენს ქალაქში კარგიც ბევრი კეთდება და შენდება. 1979 წელს, მაგალითად, აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 24-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, შემნახველი სალარო, 140-ადგილიანი ბაგა-ბაღი, ქალაქის ცენტრში გაიხსნა საკომისიო მაღაზია. ჩვენ მოგვწონა მზიურელთა და სახნიერელთა პატრიოტული მოწოდება „მაგისტრალებს — ლამაზი იერი, სოფლებს — მაღალი კულტურა“ და ეს საქმითაც დავამტკიცეთ — გზებზე და სკვერებში ათასობით ხე და ბუჩქი დავრგეთ.

წელს კიდევ აშენდება 140-ადგილიანი ბაგა-ბაღი, 40-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, რეკონსტრუქრებული იქნება სტალინის, ორჯონიკიძისა და ბარათაშვილის ქუჩები. ყოველივე ეს ჩვენი კომუნისტებისა და კომკავშირელების ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით კეთდება.

ჩვენ გვესმის, რომ შეიძლება ყველაფერი ისე ვერ გაკეთდეს, როგორც ითქმება, მაგრამ ერთი რამ უდავოა — კომუნისტის ინიციატივას, აზრს, წინადადებას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიეცეს. ამას წინათ, მაგალითად, კომუნისტმა ე. ბეიტარიშვილმა სრულიად სამართლიანად მისაყვედურა:

— რა ფასი აქვს ჩემს აზრს, ანდა ჩემს გამოსვლას. მარტო მე როდი მითქვამს, რომ ქალაქის ცენტრში, რკინიგზაზე გადასასვლელი ხიდის გაკეთებაა აუცილებელი.

კომუნისტები სამართლიანად მოითხოვენ იმასაც, რომ, რაც ითქვა და სწორია, უნდა გაკეთდეს, მაგრამ თუ არ ხერხდება, განემარტოს პირადად საკითხის წამომჭერს და საერთოდ კრებას, რომ კონკრეტულ მიზეზთა გამო საკითხის დადებითად გადაჭრა შეუძლებელია.

არავითარი სერიოზული მიზეზი არ უშლის ხელს, მაგალითად, სასმელი წყლით ქალაქის ნორმალურ მომარაგებას, მოუწესრიგებელია ქუჩების განათება და მაგისტრალური გზების კეთილმოწყობაც. ის ორგანიზაციები კი, რომელთაც ამ საქმეების მოგვარება ევალებათ, სიფიცრის რაიონის ქ. წნორშია განლაგებული და ჩვენ მათთან უშუალო კონტაქტს მოკლებული ვართ.

უნდა ითქვას ერთი გარემოებაც: რაიკომში, ჩვეულებისამებრ, ვგზავნით პარტიული კრებების ოქმებს, რომლებშიც კრებებზე განხილული საკითხებია ასახული. მათზე რეაგირება, შესრულების შესახებ ინფორმირება ყოველთვის როდი ხერხდება, უმეტესად აღარც კი ვიცით ხოლმე, რა ბედი იწია ჩვენ მიერ დაყენებულ საკითხებს.

რაიონის მშრომელებს, მით უმეტეს კომუნისტებს და კომკავშირელებს, აწუხებთ მოსახლეობის ქალაქისაკენ მიგრაციის პრობლემა. სოფლიდან ხალხი ქალაქში მიდის, მაშინ როდესაც ჩვენს რაიონს მევენახეობის, მეცხოველეობის დარგის ბევრი პრობლემა აქვს გადასაწყვეტი და ამისათვის აუცილებელი მუშახელი სჭირდება. ადამიანები კი შრომას კი არა, ცუდ საყოფაცხოვრებო პირობებს გაურბიან. საკმარისია ითქვას, რომ რაიონს არც ერთ სოფელს და თვით ქალაქსაც არა აქვს კეთილმოწყობილი და მოქმედი სპორტული ბაზა, საცურაო აუზი, კლუბი. მუშახელის, ახალგაზრდობის სოფლად შენარჩუნება ამ საკითხების დადებითად გადაჭრასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული.

ეს ის საკითხებია, რომლებზეც ბევრს ფიქრობენ, მსჯელობენ, კამათობენ ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციის კომუნისტები. ხოლო მიღებული გადაწყვეტილების უთუო განხორციელება, საქმის სასიცოცხლო შემობრუნება ბევრს მისცემს ხალხსაც და სოფელსაც.

ნ. მოსაშვილი,
ქ. წითელწყაროს ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

საერთაშორისო ცხოვრების ჭიდილი

მაღალი შეფასება

სან-ფრანცისკო. ცნობილი ამერიკელი მეცნიერი, ჰიუსტონის ლინდონ ჯონსონის სახელობის პილოტირებული კოსმოსური ხომალდების ცენტრის თანამშრომელი ჯეიმს ობერგი მაღალ შეფასებას აძლევს სადგურ „სალიუტის“ გამოყენებით საბჭოთა კავშირის კოსმოსური კვლევის პროგრამას. საბჭოთა კოსმოსურმა სადგურმა, წერს იგი გაზეთ „ლოს-ანჯელეს ტაიმსში“, უკვე განახორციელა კვლევის მეტად შთამბეჭდავი პროგრამა, კერძოდ, სადგურში ეკიპაჟების ყოფნა 96,140 და 175 დღე-ღამის მანძილზე. ამერიკის ეკიპაჟის ყველაზე ხანგრძლივი ფრენა „სკაილაბით“ 1973-1974 წლებში 84 დღეს გრძელდებოდა, ამასთან ამერიკის აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნულ სამმართველოს არა აქვს უფრო ხანგრძლივი ფრენის გეგმები და არც აპირებს ამ ათწლეულში ორბიტაზე „სალიუტ-6“-ის მსგავსი კოსმოსური სადგურის გაყვანას.

სადგურ „სალიუტის“ მექანიკური ხანგამძლეობა, აღნიშნავს ამერიკელი სპეციალისტი, ისევე შთამბეჭდავია, როგორც ადამიანთა ამტანობა საბჭოთა კოსმოსურ ლაბორატორიაში.

ობერგი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირმა დიდ წარმატებებს მიაღწია მუდმივი პილოტირებული კოსმოსური ორბიტული კომპლექსების შექმნაში. ამერიკის შეერთებული შტატები მნიშვნელოვნად ჩამორჩება სსრ კავშირს კოსმოსური კვლევის ამ დარგში, ხაზს უსვამს იგი.

ირანის ამგები

თეირანი, 5 აგვისტო. ირანში გრძელდება გამოსვლები იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ შეერთებულ შტატებში აპატიმრებენ და სდევნიან ირანელ სტუდენტებს. ამერიკის ხელისუფალთა ეს მოქმედება მკაცრად გაკიცხეს აიათოლა ხომეინიმ.

ამერიკის პოლიციის მიერ დაპატიმრებულ სტუდენტებს, ხაზგასმით აღნიშნა მან, „სასტიკად აწამებენ“.

400-ზე მეტმა კაცმა შიმშილობა გამოაცხადა თეირანის „იმამ ხუსეინის“ მეჩეთში. როგორც ფარსის საagენტო იუწყება, მისი მონაწილენი მოითხოვენ ამერიკის შეერთებულ შტატებში დაპატიმრებულ სტუდენტთა განთავისუფლებას.

ხორასნის პროვინციაში გამოვიდა ირანის პრეზიდენტი ბანისადრი, რომელმაც ირანელ ხალხს მოუწოდა გაერთიანდეს შეთქმულებათა წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებსაც ირანში აწყობს ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერით შინაური და გარეშე რეაქცია. მან განაცხადა, რომ ეს შეთქმულებანი განწირულია ჩასაფშვ�.

პრესა იუწყება, რომ ირანში გრძელდება იმ ილუმინატების გამოვლენა, რომლებიც მხარს უჭერენ იმპერიალისტურ ძალებსა და კონტრრევოლუციას. უკანასკნელი თუმცა დღის მანძილზე, წერს გაზეთი „ფეჰრან ტაიმსი“, ტრიბუნალების განაჩენებით დასაჯეს 32 კაცი, რომლებსაც ბრალად ედებათ სამშობლოს ღალატი. ირანის ხელისუფლებამ დაუპატიმრეს ყოფილი შაპის საიდუმლო პოლიციის სავაჭის მაღალი თანამდებობის მოხელეთა კიდევ ერთი ჯგუფი, რომლებიც იმალებოდნენ. როგორც გაზეთი „ჯუმჰურიე ესლამი“ წერს, დაპატიმრებულთა შორის არიან კონტრდაზვერვის უფროსის ყოფილი მოადგილე, გენერალი მორთაზ შაჰზედი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა რეპრესიებში ირანელი ხალხის წინააღმდეგ, და ქალაქ ქერეჯის პოლიციის უფროსი პოლკოვნიკი ფაზლ მასლაჰი.

ქვეყანაში გრძელდება სახელმწიფო დაწესებულებებიდან იმ პირთა დათხოვნა, რომლებიც მჭიდროდ თანამშრომლობდნენ დაწოხმილ შაჰის რეჟიმთან. მაგალითად, კიდევ 44 კაცი დაითხოვეს თეირანის რადიოდან და ტელევიზიიდან.

მოკლედ

ყოველი მსრიდან

5 აგვისტო

● **მადრიდი.** აქ გამოაცხადეს, რომ კიდევ გაძვირდა სურსათი და ზოგიერთი სახეობის მომსახურება. როგორც პრესა იტყობინება, მთავრობის სპეციალური დეკრეტით 25 პროცენტით გაძვირდა პური და პურფუნთუშეული. საშუალოდ 20 პროცენტით გაიზარდა მედიკამენტების ფასი. თავისებური „საჩუქარი“ მოუმზადეს საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებსაც: წელს სწავლის ქირა უნივერსიტეტებში გაიზარდა 25 პროცენტით, ხოლო სპეციალურ სასწავლებლებში — 20 პროცენტით.

● **ბისაუ.** აქ დამთავრდა გვინეისა და მწვანე კონცხის კუნძულების დამოუკიდებლობის აფრიკელთა პარტიის გვინეა-ბისაუს რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს სხდომა, რომლის უურადღების ცენტრში იყო პარტიული და სახელმწიფო მშენებლობის, სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს, ლენინის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ორგანო

„საქართველოს კომუნისტი“

№ 181 (8 000)
ორშაბათი, 1980 წლის 4 აგვისტო
ფასი 2 კაპ.

თანამშრომლობის გაძლიერების გზით

ბუქარესტი, 5 აგვისტო. „სკანტეიამ“ და რუმინეთის სხვა გაზეთებმა დღეს თვალსაჩინო ადგილზე გამოაქვეყნეს ცნობა ყირიმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევისა და რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის ნ. ჩაუშესკუს მეგობრული შეხვედრის შესახებ. პრესა აღნიშნავს, რომ შეხვედრამ ურთიერთგაგებისა და მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა.

„სკანტეია“ წერს: ორი ქვეყნის პარტიულმა და სახელმწიფო მოღვაწეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა გაამლიერონ გრძელვადიანი თანამშრომლობა ეკონომიკის წამყვან დარგებში. საბჭოთა კავშირი და რუმინეთი სხვა მოძმე ქვეყნებთან ერთად ცდილობენ გააღრმაონ ინტეგრაცია და კოოპერირება, როგორც ორმხრივ საფუძველზე, ისე ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში, რასაც ყოველი მონაწილისათვის სულ უფრო საგრძნობი სარგებლობა მოაქვს.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ნ. ჩაუშესკუმ, აღნიშნავს გაზეთი, განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც დაიცვან დაძაბულობის შენელება, განამტკიცონ ნდობა და განავითარონ პოლიტიკური დიალოგი სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოებს შორის, განაგრძონ მშვიდობის პოლიტიკა, დაიცვან ყველა ხალხის დამოუკიდებელი განვითარების უფლება.

როგორც „რომანია ლიბერე“ აღნიშნავს, ორივე პარტიისა და ქვეყნის ხელმძღვანელებმა შეხვედრაზე განაცხადეს, რომ მოვლენათა მსვლელობამ დაადასტურა იმ შეფასებებისა და დასკვნების სისწორე, რომლებიც მოცემულია ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის მაისის თათბირის დოკუმენტებში. ეს დოკუმენტები კარგ საფუძველს უქმნის მოძმე ქვეყნების ერთობლივ მოქმედებას.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს განცხადება

ჰელსინკი. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საბოლოო აქტმა, რომელსაც ხუთი წლის წინათ მოაწერეს ხელი ევროპის ქვეყნების, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ხელმძღვანელებმა, საფუძველი შეუქმნა მშვიდობის განმტკიცებას ევროპის კონტინენტზე, რომელიც იყო ასპარეზი ორი ყველაზე გამანადგურებელი მსოფლიო ომისა, ათობით მილიონი ადამიანის სიცოცხლე რომ შეიწირა, აღნიშნულია მშვიდობის მსოფლიო საბჭოს აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში. საბოლოო აქტის ხელმოწერა, აღნიშნულია დოკუმენტში, მოასწავებდა გრძელვადიან საერთაშორისო პრობლემათა გადაჭრას, რომლებიც წარსულში არაერთხელ ყოფილა დაძაბულობის გაძლიერების მიზეზი. ამ დოკუმენტმა საძირკველი ჩაუყარა აგრეთვე ახალ და მუდმივ საფუძველზე სახელმწიფოთაშორისი პრობლემების გადაჭრას, ნათქვამია ანცხადებაში.

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების მომავალი მადრიდის შეხვედრა საშუალებას მოგვცემს მივაღწიოთ შემდგომ პროგრესს მშვიდობის განმტკიცებისა და საბოლოო აქტის ხელმომწერი ყველა ქვეყნის ურთიერთობის ნორმალიზაციის საქმეში.

მშვიდობის მსოფლიო საბჭო კვლავ აცხადებს, რომ მხარს უჭერს ჰელსინკის მორიგებებს და მიესალმება მათი დებულებების განხორციელების შედეგებს, აგრეთვე გამოთქვამს იმედს, რომ მადრიდის შეხვედრა გააღრმავებს დაძაბულობის შენელების პროცესს, ხელს შეუწყობს საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას.

ფოტოინფორმაცია

დელი. საბჭოთა წიგნის ცენტრში გაიხსნა ოლი მპიადა-80-სადმი მიძღვნილი გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილია საბჭოური ფოტოსურათები, წიგნები, პლაკატები, მარკები, პერიოდული გამოცემები სპორტის შესახებ.

სურათზე: ინდოეთის ოლიმპიური ასოციაციის პრეზიდენტი რაჯა ბხალინდრა სინგჰი (ცენტრში) ეცნობა ექსპოზიციას.

საკადესის ფოტოქრონიკა.

რეაქციული რეჟიმის დახმარების წინააღმდეგ

ვაშინგტონი, 5 აგვისტო. „მოვითხოვთ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეუწყვიტოს დახმარება გვატემალის რეაქციულ რეჟიმს“, განაცხადა აქ გამართულ პრესკონფერენციაზე გვატემალაში რეპრესიების წინააღმდეგ ბრძოლის დემოკრატიული ფრონტის წარმომადგენელმა ენრიკე ტორესმა.

საზოგადოებრივი ორგანიზაციის — დასავლეთ ნახევარსფეროს საქმეთა საბჭოს მიერ მოწყობილი ამ პრესკონფერენციის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ პენტაგონი აპირებს გარსიას რეჟიმს მიაწოდოს შეიარაღების ახალი დიდი პარტიები, მათ შორის თვითმფრინავები და ვერტმფრინავები.

ლუკას გარსიას რეჟიმის დასტურითა და მხარდაჭერით ქვეყანაში აშკარად მოქმედებენ ულტრამემარჯვენე ნახევრად სამხედრო ორგანიზაციები, რომლებსაც „სიკვდილის ჯგუფებს“ ეძახიან. ისინი ძირითადად ერთიანებენ სამხედრო და დუმენო პოლიციის თანამშრომლებს და მიმართავენ ტერორს, წამებასა და მკვლელობას. ყველაზე აქტიური მათ შორის არის „ანტიკომუნისტური საიდუმლო არმია, რომელმაც იკისრა პასუხისმგებლობა. მრავალი პროფკავშირული მოღვაწისა და პროგრესული ინტელიგენციის მკვლელობისათვის.

გულისწყრომით გმობენ

დამასკო. არაბეთის პროფკავშირთა საერთაშორისო კონფედერაციამ გულისწყრომით დაგმო ტელ-ავივის გადაწყვეტილება გადაიქცეს ქალაქი იერუსალიმი ისრაელის „სამუდამო დედაქალაქად“.

ეს აქცია, აღნიშნულია აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში, კიდევ ერთხელ ადასტურებს ისრაელის სახელმწიფოს აგრესიულ რასისტულ ხასიათს, აღშფოთებულად არღვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებებსა და საერთაშორისო სამართლის დებულებებს.

ალჟირი. ალჟირის საინფორმაციო სააგენტო იერუსალიმის შესახებ ისრაელის კნესეტის გადაწყვეტილებას უწოდებს დაუფარავ აგრესიას არაბი ხალხების წინააღმდეგ, თავხედურ პროვოკაციას მაჰმადიანური სამყაროს წინააღმდეგ.

ისრაელი ქორების ასეთი მოქმედება, აღნიშნავს სააგენტო, შესაძლებელი გახდა იმის შედეგად, რომ მათ უსიტყვოდ უჭერს მხარს ამერიკის იმპერიალიზმი და მოღალატურ პოლიტიკას ადგას ეგვიპტის პრეზიდენტი სადათი, რომელმაც სეპარატული გარიგება დადო ტელ-ავივთან.

ადენი. დემოკრატიული იემენი მკაცრად გმობს ისრაელის ხელისუფალთა გადაწყვეტილებას იერუსალიმის აღმოსავლეთი არაბული ნაწილის ანექსიის შესახებ და ისრაელის დედაქალაქად იერუსალიმის გამოცხადებას.

ისრაელის კნესეტის გადაწყვეტილება, ცნოს იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად, აღნიშნულია განცხადებაში, კვლავ ადასტურებს, რომ ტელ-ავივი აპირებს კვლავაც უგულებელყოს საერთაშორისო გაერთიანების მოთხოვნები, აშკარად აბუჩად იგდებს მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს.

ბაღდადი. იმ დროს, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიიდ მიიღო რეზოლუცია, რომელიც ადასტურებს პალესტინის არაბი ხალხის თვითგამორკვევისა და საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლებას და მოითხოვს 1967 წელს ოკუპირებული მთელი არაბული ტერიტორიიდან ისრაელის ჯარების სრულ და უპირობო გაყვანას, ტელ-ავივში გამოცხადდა იერუსალიმის ანექსია და ეს ქალაქი ცნეს ისრაელის „ერთიან და განუყოფელ“ დედაქალაქად. ისრაელის სიონისტური ხელმძღვანელობის ეს ნაბიჯი, აღნიშნავს ერაყის გაზეთი „ს-საურა“, მისი აგრესიული ექსპანსიონისტური კურსის გაგრძელებაა.

ათენი. ისრაელის მიერ იერუსალიმის თვის „სამუდამო და განუყოფელ“ დედაქალაქად გამოცხადება არა მარტო აბუჩად აგდებაა მსოფლიო გაერთიანებისა, რომელმაც რამდენიმე დღის წინათ მოითხოვა ცნონ პალესტინელი ხალხის ეროვნული უფლებები, არამედ წარმოადგენს აქციასაც, რომელმაც მკვეთრად გაართულა ახლო აღმოსავლეთის ვითარება, ნათქვამია „სტოლიად საბერძნეთის სოციალისტური მოძრაობის“ პარტიის საერთაშორისო ურთიერთობის კომიტეტის განცხადებაში.

ანკარა. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხ. ერქმენმა გაზეთ „თერჯუმანისათვის“ მიცემულ ინტერვიუში ისრაელის კნესეტის გადაწყვეტილება იერუსალიმის თაობაზე დაახასიათა როგორც აქცია, რომელიც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებს და ართულებს ვითარებას რეგიონში.

სპეციალისა და ახალი ამბების საკანონმდებლო კორესპონდენტების ბიუროს ინფორმაციით

ეროვნული პორტუგალიელ კომუნისტთა დღესასწაული

ლისაბონი, 5 აგვისტო. (საკადესი). ლისაბონის ახლოს გაიმართა პორტუგალიის კომპარტიის დღესასწაული — „ერთიანობის დღესასწაული“. მისმა მონაწილეებმა მოაწყვეს კოლოკვიუმები და დისპუტები, რომლებზეც განიხილეს პორტუგალიის წინაშე მდგომი მწვავე პრობლემების გადაწყვეტის გზები. გაიმართა აგრეთვე სპორტული შეჯიბრებები, მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების გამოსვლები.

დღესასწაულის მონაწილენი განსაკუთრებით დაინტერესა პორტუგალიის კომუნისტთა საარჩევნო პროგრამამ, რომელშიც ჩამოყალიბებულია ქვეყნის რევოლუციური მონაპოვართა დაცვის კონკრეტული ღონისძიებანი, მშვიდობისა და საერთაშორისო

ვარსკვლაველთა აქაფეთის ყველა ალაპი

სოციალისტური ქვეყნების კოსმონავტთა ინტერნაციონალური ფრენა 4 აგვისტოს ვარსკვლაველთა ქალაქში საზეიმოდ შეხვდა საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის ექსპედიციის წევრებს — კოსმონავტებს ვიქტორ გორბატკოსა და ფამ ტუანს.

სხვადასხვა სამეცნიერო პროგრამებით გეგმართა ორბიტაზე სოციალისტური ქვეყნების ექვსი ადამიანური კოსმონავტი, რომელთაგან ექვსი განაზორციელეს კოსმოსური ფრენა. მაგრამ ვარსკვლაველთა ამ სტარტებმა მძლავრი ბიძგი მისცა „ინტერკოსმოსის“ პროგრამის მონაწილე ქვეყნებში კოსმოსური კვლევის განვითარებას. ყოველი ქვეყნისათვის კოსმოსურ ორბიტაზე გასვლა კოსმოსურ სახელმწიფოთა კლუბში შესვლაზე მეტს ნიშნავს. ეს არის ადამიანთა სოციალისტური სახელმწიფოების მეცნიერების აღმავლობისა, რაც საბჭოთა კავშირის ფურ დახმარებას ემყარება.

და კიდევ ერთი რამ აერთიანებს ექვსივე კოსმოსურ სტარტს, რომლებიც უკანასკნელ ორ წელიწადში გაიმართა „ინტერკოსმოსის“ პროგრამის ალმებით.

სოციალისტური ვიეტნამის პილოტმა კოსმონავტმა ფამ ტუანმა დაფრენის შემდეგ აღელვებულმა უთხრა ჟურნალისტებს, ახლა ორი ვარსკვლაველი ქალაქში საზეიმოდ შეხვედრი სამშობლო მაქვსო. ვარსკვლაველთა ქალაქი მისთვის არა მარტო აკადემია, სადაც იგი კოსმოსურ პროგრამას დაეუფლა, არამედ ინტერნაციონალიზმის სკოლაც გახლავთ.

დღეს ვარსკვლაველთა აკადემიას „მშვენებს“ ალმები სოციალისტური ქვეყნებისა, რომლებიც ერთად იბრძვიან კოსმოსური მეცნიერების მწვერვალებს. საბჭოთა ვიეტნამის ეკიპაჟის შესახებ ერთად ჩამოვიდნენ საბჭოთა და ვიეტნამელი მეცნიერები, კოსმონავტთა მომზადების ცენტრის ოფიცრები.

ბეფნერი ღიმილს გაუცისკროვებია ვიქტორ გორბატკოს და ფამ ტუანის სახე. მათ ღირსეულად შეასრულეს დაკისრებული დავალება. კულტურის სახლში გართულ მიტინგზე გამოსვლისას ფამ ტუანმა გულითადი მადლობა გადაუხადა საკავშირო ცენტრალურ კომიტეტსა და ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს ამ კოსმოსური შრომის მაღალი შეფასებისათვის.

კოსმონავტებმა ყვავილს დიდი მოკითხვა გადასცეს „სალუტ-6“-ზე ორბიტაზე სადგურის მასპინძლების ლეონიდ პოპოვისა და ვალერი რიუმინისადმი.

XXIII ცენტრალური კომიტეტი-ადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი გაგზავნილ მისალმებით — მეცნიერებმა, კოსმონავტთა მომზადების ცენტრის სპეციალისტებმა, კოსმონავტთა ინტერნაციონალური რაზმის ოფიცრებმა გამოთქვეს მისწრაფება ერთად განამტკიცონ სოციალისტური ქვეყნების ხალხთა თანამეგობრობა დიდამოწყალა და კოსმოსურ ორბიტაზე.

ნ. ჟელეზნოვი,
საკავშირო კომ.
ვარსკვლაველთა ქალაქი.

სურათზე: ვარსკვლაველთა ქალაქში შეხვედრის დროს.
საკავშირო-საინფორმაციო ტელეფოტო.

ბიტატორის თაოსნობით

მოსავლის აღებაზე უმაღლესი შრომის ნაყოფიერებისათვის აფხაზი მეჩაიეების შეჯიბრებაში ადილი ინიციატივა იშვა. გალის რაიონის აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის კომპლექსური მექანიზაციის ქალთა ბრიგადის ხელმძღვანელმა, აგიტატორმა ნახიბროლა ხასაიამ უფროდა თავის ამხანაგებს აღნიშნა საყრილობო ვახტის თიკუელი დღე დამკვრელური შრომით, იბრძოლონ სკკპ XXVI ყრილობის სახელობის ბრიგადა-ფოდების მოპოვების უფლებისათვის. მისმა ბრიგადამ გადაწყვიტა წელს გეგმის გადაჭარბებით მოკრიფოს სულ ცოტა 30 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორებს თაოსნობას მხარი უჭერეს საყრილობო შრომიანი ვახტის მონაწილეებმა აფხაზეთში. 150 ათასზე მეტმა მუშამ

ბაბუნიერთა ლაბორატორიებში

ოზონი სეზონის წინაალმდეგ

უკვე ახლო მომავალში ოზონი შეიძლება გახდეს სეზონის წინაალმდეგ ბრძოლის ყველაზე ეფექტიანი საშუალება. ასე ფიქრობენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერები. მათ ამაში არწმუნებს კახეთის ველებსა და მთის მასივებში ოზონის წარმოქმნისა და კონცენტრაციის პროცესების კვლევა.

დადგენილია, რომ ჭექა-ქუხილის წინ დედამიწის ზედაპირთან, საავდრო ღრუბლში ელექტრული განმუხტვის მომენტში ოზონის კონცენტრაცია 50-150 პროცენტს აღემატება. ასეთივე სურათი შეიმჩნევა მაშინაც, როცა კოკისპირულ წვიმას ჭექა-ქუხილი ახლავს.

ამ მოვლენის არსს განმარტავს გამოკვლევის ერთ-ერთი ავტორი, გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი დ. ხარჩილავა:

როგორც ჩანს, ოზონი ხელს უწყობს საავდრო ღრუბლში ყინულის პატარა კრისტალების მირიადების წარმოქმნას. სწორედ ისინი უშლის ხელს სეტყვის მარცვლის. ზრდას სახეფათო სიდიდემდე. ყინულის წვრილი ხოშკაკალი დედამიწისაკენ ქროლვის დროს მაცოცხლებელი წვიმის წვეთებად იქცევა. ამიტომაც ვვარაუდობთ, რომ ყველა საავდრო ღრუბლის სეტყვად გადაქცევას ხელს უშლის ოზონი და ჰაერის ჟანგბადისგან მისი წარმომქმნელი ელვა.

შეიქმნა რეალური პერსპექტივა შევიმუშაოთ სეტყვის ღრუბლზე ზემოქმედების ახალი მეთოდი... ძველი „ტექნოლოგიით“ სეტყვის თავიდან აცილებისათვის სპეციალისტებს სეტყვიანი ღრუბელში შეჰყავთ განსაკუთრებული ქიმიური რეაგენტები, რომლებიც ხელს უშლის ღრუბელში სეტყვის მარცვლის ზრდას. ჩვენ კი ყიდვით ქიმიური ნივთიერებების ნაცვლად ოზონის „დამზადებისა“ და სეტყვის ღრუბელში შეყვანის მეთოდს.

გეოფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერები ატმოსფეროში ოზონის კონცენტრაციისა და „ქცევის“ შესწავლის სამუშაოებს ეწევიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეტეოროლოგიური სამსახურის სამეცნიერო ცენტრის სპეციალისტებთან ერთად. ამას წინათ ორი ქვეყნის მეცნიერებმა მორიგი ერთობლივი ექსპერიმენტი მოაწყვეს კახეთში. სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დამზადებული აპარატურის მეშვეობით განისაზღვრა, როგორ იცვლება ოზონის შემცველობა ჰაერში სიმაღლის მიხედვით ჭექა-ქუხილის დაწყებამდე, ჭექა-ქუხილის დროს და მის შემდეგ.

კ. ცხომელიძე,
საინფორმის კორ.

საგუშაგო — მხოლოდ სანიმუშო!

ყველგან და ყოველთვის ვიბრძოლებთ სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის, რომ მინიმუმამდე შემცირდეს სოციალისტური კანონიერების დარღვევები, — ასეთი ფაქტი განმტკიცეს სკკპ XXVI ყრილობის შესახებ ერთად ნაკისრი ვალდებულებები თბილისის კალინინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომლებმა, რომლებიც საპატიო საგუშაგო სამსახურს ეწევიან რაიონის ტერიტორიაზე.

— საზეიმოდ ფიცის დადების თაოსნობა პოლიტიკური სწავლების სემინარის მსმენელებმა გამოიჩინეს და ცერემონიალის ადგილად ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის, თბილისის ფილიალი აირჩიეს, — გვითხრა განყოფილების თანამშრომელმა, მილიციის ლეიტენანტმა ტ. ხუნტუამ. — და აი დღეს მთელი შემადგენლობა მოვიდა ამ წმინდა შენობაში და გაეცნო დიდი ბელადის ცხოვრებას, მოღვაწეობას, რომელიც მარად სამაგალითოა თაობებისათვის...

წესრიგის დამცველებს ექსპოზიცია დაათვალიერებინა კალინინის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსის მოადგილემ პოლიტდარგში გ. ორკოდაშვილმა, ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის მზადყოფნის შესახებ ისაუბრეს პროპაგანდისტებმა ო. ქებაძემ, შ. ქოქოშვილმა, გ. ამბოკაძემ.

რ. რამიშვილი.



სურათზე: განყოფილების თანამშრომელთა ერთი ჯგუფი ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში.

ჯ. ლომაძის ფოტო.

მოუყვარე...

ასე როგორ გაიმეტეს ახლოგელი ადამიანი?

თეთრი წყაროს სოფელ ნატვრიანში იმ თოვლიან ღამეს სამმა უცნობმა ბოროტმოქმედმა უბედურება დაატეხა თავს სოლომონ გაბიდაურის ოჯახს — სანადირო თოფით შეიარაღებული ნიღბიანები ქურდულად შეიპარნენ ბინაში და ფარნის შუქზე ჩხრეკას შეუდგნენ, ეძებდნენ ფულს, ძვირფასეულობას. მძარცველები ჯერ ფინის წვერებზე დადიოდნენ, მაგრამ ფულს რომ ვერ მიაგნეს, მოთმინების ფიალა აევსოთ, ზომიერების გრძნობა დაკარგეს და გაგულისებულებმა კარადის ყარებს იატაკზე დახეთქება დაუწყეს.

ხმაურზე მოხუცს გამოეღვიძა, მხედველობა აკლდა, მაგრამ ოთახში სამი ლანდი ნაგრძნობი გაარჩია და შიშნარევი ხმით გამოეხმაურა: რას ეძებთ, რა დაგკარგვიათო. ამის თქმა და, ერთ-ერთმა მომხვდურმა ღუმელზე დადგმულ ტაფას ხელი წაავლო, საწოლზე წამომჯდარ მოხუცთან მიიჭრა, ჯერ თავზე, შემდეგ სახეზე ჩასხლიტა და ცხვირპირიდან სისხლი ადინა, თანაც დაინებით ითხოვდა, მიეჩვენე ადგილი, სადაც ფულსა და ოქროეულობას ინახავო. მოხუცი იფიცებოდა, წინადღით უკანასკნელი ფული მეუღლეს შვილებთან გავატანეო თბილისში.

— სტყუი, ბებერო მელავ! — იღრიალეს ყაჩაღებმა.

ახლა ჯერი მეორეზე მიდგა. თოფიანმა არ დაიყოვნა და გასისხლიანებულ მოხუცს ლეგა მკერდზე ატაკა, შემდეგ თავი გაუტეხა, გულწასული კაცი საწოლზე გაიშხლართა.

— თავი მოიმკვდარუნა, — თქვეს მძარცველებმა და, ფეხებით ფერდი გვარიანად რომ დაუზილეს, შემდეგ თავიანთ საქმეს მიხედეს, ბოროტკაცი არ დაუტოვებიათ კუთხე-კუნჭული, და მხოლოდ ამის შემდეგ ჩალაგამოვლებულებმა დატოვეს ბინა. სოლომონს ოთახიდან გამოსვლა და განგაშის ატეხა რომ არ შეძლებოდა, აიკაზე დადგმული ტახტი კარებთან მიაჩოჩეს, სახელურზე თოკით გამოაბეს და გზას გაუდგნენ.

მეორე დილით თეთრი წყაროს შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებაში გულამოვარდნილი სოლომონის შვილი ივანე და მისი ნათესავები რეზო, ბადრი და ავთანდილ გაბიდაურები მოვარდნენ და მომხდარი შემთხვევის ამბავი სამორიგეო ნაწილს აცნობეს.

ნამდვილად ყაჩაღური თავდასხმა იყო. ახალდათოოელი გზაზეური, რომელიც ლაზარალებულის სახლის კიბესთან იწყებოდა და დაბა მანგლისისაკენ მიემართებოდა. მანგლისიდან კი ბოროტმოქმედები უკან მობრუნებულან.

განზრახვა ცხადი იყო — გზა-კვალი აერიათ გამძიებისათვის, რათა მილიციის მუშაკებს დამნაშავენი ნატვრიანის გარეთ, თუნდაც დაბა მანგლისში ეძებნათ. მაგრამ ამ როდი ფიქრობდა ოპერატიული ჯგუფი მილიციის უფროსის გურამ ბერიანიძის, მოადგილის ტრისტან ელიზბარაშვილის, სისხლის სამართლის სამძებროს უფროსის შუდინ ოგანოვის, უბნის ინსპექტორების მერაბ ჯაფაშვილისა და ამბაზ ქარქოშაშვილის შემადგენლობით, რომლებმაც თავიდანვე ალღო აუღეს შექმნილ ვითარებას.

გავიდა ერთი კვირა, მეორეც, სოლომონის ახლობლებს — გაბიდაურებს ყველაფერი მიეტოვებინათ, მილიციის კარებთან ათეულებდნენ და აღამდნენ, დამნაშავეთა დადგენადაპატიმრებას და მათი სინის სამართლის პასუხისგებაში მიცემას მოითხოვდნენ. განსაკუთრებით გამომწვევად ეჭირა თავი სამ ახალგაზრდა ბიდაურს, რომლებიც ბაბუა სოლომონის გაუბედურებისათვის ბოროტმოქმედებს დანის წვერზე აგებით ემუქრებოდნენ.

ეჭვს არ იწვევდა, რომ მოძალადეები კარგად იცნობდნენ დაზარალებულს, მათ წრეში ტრიალებდნენ, იცოდნენ რომ საბურთალოსა და კუტუზოვის ქუჩების გადაკვეთაზე, სადაც ძრავის სახურავიდან ძლივსძლივობით გადმოიყვანეს დაზარალებული ი. მამნიაშვილი, რომელიც საავდყოფოში მოათავსეს. მ. გიგინეიშვილი მიიმალა, მაგრამ მის იმედს, რომ პასუხისმგებლობისგან თავს დაიძვრენდა, აღსრულება არ ეწერა. მილიციის მუშაკების მეცადინეობით დამნაშავე ოთხი დღის შემდეგ დააკავეს. ასე შეიქმნა სისხლის სამართლის საქმე № 102.

სამსჯავრო გამოძიების დროს ი. მამნიაშვილი დაახლოებით

მოკლე და უდღეურია ქურდობის გზა

პატიოსანი ადამიანისათვის სხვისი ნაშრომ-ნაამაგარის მითვისება ყოველთვის სათაკილო იყო და არის.

მართალია, ამ ბოლო დროს ახალციხის რაიონში მნიშვნელოვნად შემცირდა ისეთი დანაშაულობანი, როგორიც არის მკვლელობა, ძარცვა, ხულიგნობა, სახელმწიფო ქონების დატაცება, სპეკულაცია, ზომაწონაში მოტყუება, მაგრამ სამწუხაროდ გაზრდა მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობის შემთხვევები.

ამ ცოტა ხნის წინათ ახალციხელები პირდაპირ შეშფოთებული იყვნენ იმით, რომ ვიღაც უცნობი პირები დღისითაც და ღამითაც არაფერს ერიდებოდნენ, ნიღაბაფარებულნი შედიოდნენ მოქალაქეთა ბინებში, იტაცებდნენ ფულს, ძვირფას ნივთებს და უჩინარდებოდნენ.

პარტიის რაიკომთან არსებული ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის მაკოორდინირებელმა კომისიამ, რომელსაც პარტიის რაიკომის პირველი მდივანი შ. ქაჯაია ხელმძღვანელობს, მთელი რიგი ღონისძიებანი გაატარა, უფრო ეფექტიანი გახადა სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლა, სხვადასხვა სახის დამნაშავეებთან ერთად მხილებულ იქნენ ქურდებიც.

აი ერთი მათგანი.

ოვსეპ მარქარიანი — დაბადებული 1957 წელს ქალაქ ახალციხეში, აღაკ წევრი, საშუალო განათლებით, უცოლშვილო, მუშაობდა რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 9 ტრესტის ახალციხის № 21 სპეციალიზებულ კოლონაში მუშად. შარშან 4 სექტემბერს დღისით ო. მარქარიანი კუბიშევის ქუჩაზე მდებარე ელგუჯა გორგოძის ბინაში შევიდა და სახლის მშენებლობისათვის სახელმწიფო ბანკიდან სესხად გამოტანილი 600 მანეთი ფული, ერთი საქორწინო ბეჭედი, ოქროს ძეწკვი და რამდენიმე სხვა ძვირფასი ნივთი, სულ 1341 მანეთის ფასეულობა მოიპარა. 4 დღის შემდეგ იგი კვლავ იმავე ქუჩაზე ლუბა პოლშინას ბინას „ესტუმრა“ და იქიდანაც მოპარული ძვირფასი ნივთებით — ოქროს საათითა და საქორწინო ბეჭედით „ხელდამშვენებული“ გამოვიდა. სამი თვის შემდეგ ქურდის მორიგი მსხვერპლი ელენე ჯაფარიძის ბინა გახდა, საიდანაც 380 მანეთი მოიპარა.

ნათქვამია, ქვეყნად არაფერი დაიმალებაო. ო. მარქარიანზე ეჭვი პირველად ე. გორგოძის ბინის გაქურდვისას მიიტანეს, მაგრამ იმის გამო, რომ სამხილი ფაქტები საკმარისი არ ჰქონდათ, შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების მუშაკები ეჭვმიტანილის აღრიცხვაზე აყვანით დაკმაყოფილდნენ. მათ კარგად იცოდნენ, რომ ქურდი ქურდობას არ მოიშლიდა და ერთხელაც „ოკა წყალზე გატყდებოდა.

და აკი ასეც მოხდა:

17 დეკემბერს ო. მარქარიანი სარქის კარაპეტიანის სახლში შეიპარა და მთელი შრომითი დანაზოგი — ფული, 3 პროცენტიანი ობლიგაციები, ოქროს ბეჭედები და სხვა ძვირფასი ნივთები, სულ 2021 მანეთის ფასეულობანი წაიღო. როცა ნაქურდალი საიმედო ადგილას დაბინავა და თავი უკვე სამშვიდობოს ეგონა, სწორედ ამ დროს დაიკავეს იგი შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების მუშაკებმა — მილიციის მაიორმა თ. ქიმერიძემ, მილიციის კაპიტანმა ვ. ჩილინგარაშვილმა და მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა ი. ხუციშვილმა.

ო. მარქარიანმა ყველაფერი აღიარა, მოპარული ნივთებიც უკლებლივ გამოაჩინა და, სასჯელისაგან რომ თავი დაეხსნა, სახალხო სასამართლოს პალატიება სთხოვა, მაგრამ გვიანღა იყო.

სასამართლომ მხედველობაში მიიღო ო. მარქარიანის მიერ ჩადენილ დანაშაულობათა საზოგადოებრივად საშიში ხასიათი და მას ოთხი წლით და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ო. მარქარიანის მსგავსად დანაშაულის სკამზე აღმოჩნდნენ იოლი ცხოვრების სხვა მაძიებელნიც: იოსებ გასპარაშვილი და ზურაბ ხარატიშვილი, რომლებმაც შარშან ა. თამარაძის ბინა გაქურდეს, გურგენ მინასიანი და იური ნახაპეტიანი, რომლებმაც პ. ბერიძის, ს. ჩიტაძისა და ა. დემეტრაძის მანქანები გაქურდეს, გენადი ნიკადიმოვი, რომელმაც ახალციხის № 101 პროფტექნიკუმი საწვავლებლის მეორე კურსის მოსწავლეს ს. კაპანაძეს ჯერ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, შემდეგ კი 50 მანეთი წართვა.

სამწუხაროდ, ქურდობაში მხილებულთა სია საკმაოდ დიდი აღმოჩნდა. ცხადია, ყველა დამნაშავემ საკადრისი სასჯელი მიიღო, მაგრამ საყურადღებოა, რომ ქურდობაში მხილებულთა უმრავლესობა — ო. მარქარიანი, ი. კასპარაშვილი, გ. ნიკალიმოვი, ჯ. გოგოლაძე, ა. ეგზარიანი, გ. მინასიანი და სხვები კომკავშირელები არიან. ეს კი მოწმობს, რომ რაიონის ცალკეულ კომკავშირულ ორგანიზაციებში სუსტად მუშაობენ ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისა და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში მათი ჩაბმისათვის. ამ საქმეში ნაკლებად იგრძნობა კომკავშირული ორგანიზაციებისადმი პირველადი პარტიული ორგანიზაციების დახმარება. უფრო მეტიც, რაიონის ცალკეულ პირველად პარტიულ ორგანიზაციებში არათუ კომკავშირელი ახალგაზრდების, არამედ თავიანთი ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდისათვისაც კი არ იწუხებენ თავს. ამიტომ არის, რომ ქურდობაში მხილებულთა და სხვა დამნაშავეთა შორის ზოგჯერ პარტიის წევრებიც გვხვდებიან.

აი ერთი მათგანი.

ახალციხის სანერგე საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის მუშამ ა. ჩახოიანმა 1 მარტს ღამით გატეხა სოფელ წნისის სამრეწველო მაღაზია და იქიდან 128 მანეთი ფული და 666 მანეთის სხვადასხვა სახის საქონელი მოიპარა. რა თქმა უნდა, იგი დამნაშავის სკამზე აღმოჩნდა. ეს, ალბათ, არ მოხდებოდა, რომ ამ 24 წლის ახალგაზრდა კომუნისტის აღზრდისათვის თავის დროზე ეზრუნათ მეურნეობა-ტექნიკუმის კოლექტივს, მის პირველადს პარტიულ ორგანიზაციას.

ამ ფაქტებიდან სათანადო დასკვნები უნდა გამოვიტანოთ. საჭიროა უფრო გააქტიურდეს ბრძოლა ადამიანთა სამართლებრივი აღზრდისათვის, „ყველგან და ყველაფერში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისათვის.

შ. მაისურაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

დაეჯახა... ავტოინსპექტორს

აი, რას გვიამბობს სისხლის სამართლის საქმე № 102: დროებით უმუშევარმა, ცხრამეტი წლის მირიან გიორგის ძე გიგინეიშვილმა დაკოლშვილებაც მოასწრო და სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაც. იგი 1980 წლის 7 აპრილს ტრანსპორტის მართვის მოწმობისა და სათანადო მინდობილობის უქონლად ჯ. ბუაჩიძის კუთვნილ „ივიულის“ მარკის ავტომანქანის საჭეს მიუჯდა, მეუღლეც გვერდით მოისვა და ლენინის ქუჩიდან საკუთარ სახლში ბრუნდებოდა ბახტრიონის ქუჩით. გზად მან თავისი ნაცნობები ვ. აბაშიძე და გ. აბელეფიანი შეინიშნა, რომელთაც მანქანა გაუჩერა და მინ მიყვანა შესთავაზა. ამხანაგებიც დასთანხმდნენ, მანქანაში ჩასხდნენ და საბურთალოს ქუჩის გავლით ვაჟა-ფშაველას პროსპექტისაკენ გაემართნენ.

საბურთალოს ქუჩის ბოლოში მ. გიგინეიშვილმა დაინახა, რომ ქუჩა ჩაკეტილი იყო, საგზაო ავტოინსპექტორები საბუთებს ამოწმებდნენ. მან, გაფრთხილების მიუხედავად, არათუ არ გააჩერა ტრანსპორტი, არამედ სიჩქარეს მოუმატა და მანქანა ავტოინსპექციის მუშაკს, მილიციის უფროს ლეიტენანტს ი. მამნიაშვილს დააჯახა, რომელიც ძრავის სახურავზე შეატყა, თავი მინას მიარტყა და მუხლებიც დაიზიანა.

თავზეხელაღებული ვაიმძღოლი მანქანას არ აჩერებდა, ზიგზაგებით მიაქროლებდა, რათა ძარაზე მყოფი ავტოინსპექტორი გადმოეგდო. ასე ატარა მან ი. მამნიაშვილი დაახლოებით ორ კილომეტრზე. შემდეგ მანქანა რამდენიმე წუთით შეაჩერა საბურთალოსა და კუტუზოვის ქუჩების გადაკვეთაზე, სადაც ძრავის სახურავიდან ძლივსძლივობით გადმოიყვანეს დაზარალებული ი. მამნიაშვილი, რომელიც საავდყოფოში მოათავსეს. მ. გიგინეიშვილი მიიმალა, მაგრამ მის იმედს, რომ პასუხისმგებლობისგან თავს დაიძვრენდა, აღსრულება არ ეწერა. მილიციის მუშაკების მეცადინეობით დამნაშავე ოთხი დღის შემდეგ დააკავეს. ასე შეიქმნა სისხლის სამართლის საქმე № 102.

სამსჯავრო გამოძიების დროს მოწმეებმა ვ. აბაშიძემ, გ. აბელეფიანმა, ნ. ბობოხიძემ, რომლებიც მანქანაში ისხდნენ, დაადასტურეს, რომ ავტოინსპექტორის თხოვნა — მანქანა გაეჩერებინა, მ. გიგინეიშვილმა არაფრად არ ჩააგდო, პირიქით, ზიგზაგებით მიაქროლებდა მანქანას, რომ ავტოინსპექტორი ძირს გადაეგდო. ამ გულქვა ადამიანმა დაზარალებულს არც ის მუდარა შეასრულა, რომ უახლოეს პოლიკლინიკაში მაინც მიეყვანა... და უსირცხვილოდ მიიმალა.

მთელი ეს ამაზრზენი ამბავი დაწვრილებით განიხილეს თბილისის სიქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1980 წლის 4 ივლისის საჯარო სხდომაზე (თავმჯდომარე — ზ. მამისაშვილი, სახალხო მსაჯულები — მ. ტატიშვილი, ჯ. ბოსტოღანაშვილი, მდივანი ბ. ესტატიშვილი, პროკურორი — ბ. მამულაიშვილი). საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 303-304 მუხლებით რომ იხელმძღვანელა, სასამართლო კოლეგიამ დაადგინა:

მირიან გიორგის ძე გიგინეიშვილი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 2091 მუხლით და მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა რვა წლის ვადით გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გამასწორებელ კოლონიაში მოხდით.

სწორედ ამაზეა ნათქვამი, რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო. ის, რაც მ. გიგინეიშვილს დაემართა, მწარე გაკვეთილი უნდა იყოს იმათთვის, ვინც უსაქმურობაში ატარებს დროს, წარამარა არღვევს ავტომძრაობის წესებს, გულქვაობას იჩენს, არაფრად უფირს არც თავისი და არც სხვისი სიცოცხლე.

ს. ყურაშვილი.

უსაქმურობისა და სიხარბის ბოლო

ხალხს უთქვამს: უქნარობა სულსაც ბილწავს და ხორცსაც. ამის ერთი მაგალითია მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედის მცხოვრები ტარიელ გოლიაძე. კოლმეურნეობის მინდვრებში ოფლის დაღვრის იგი ალმა-დალმა ხეტიალს ამჯობინებდა, და აი, მაისის ერთ დღეს ქობულეთში უფროს ძმას ივანესაც ესტუმრა.

მრავალი წელი გასულიყო, რაც ივანე შემოქმედიდან საცხოვრებლად ქობულეთში დასახლებულიყო, აქ მყუდრო კუთხე გაეჩინა და საქმესაც ეწია. სამოცდახუთ წელს გადაცილებული ივანე იშვიათად ადიოდა შემოქმედში, ძმა რომ ნახა, გულით გაიხარა, სუფრა გაუშალა, ძველი და ახალი მოიგონა. აკადმყოფობა შემომეჩვიაო. შესჩივლა და ბოლოს უთხრა, სამკურნალოდ ფული მაქვს შემონახულიო. გულუბრყვილო ძმამ ძმას ისიც გაანდო, თუ სად იდო ფული.

ძმის ნათქვამმა ტარიელს მოსვენება დაუკარგა, სადაც წავიდა, იმ ფულზე ფიქრს თავი ვერ დააღწია. ფულმა ძმობაც დაავიწყა და სინდის-ნამუსიც. საადუმლო დიდხანს არ უტარებია. ხვაშიადი თავის ამფსონს, მოქალაქეთა პირადი და სახელმწიფო ქონების ქურდობისათვის სამჯერ ნასამართლევ ტელმაგი ხოფერიას გაუმხილა.

როგორ უნდა დაეცეს ადამიანი ისე, რომ ქურდს მეგზურობა გაუწიოს და ავადმყოფ ძმას შავი დღისთვის შემონახული ფული მოპაროს? დიახ, ასე მოხდა. ქურდებმა ისეთი დრო შეარჩიეს, როცა ივანე შინ არ იყო, ძალაყინით საკეტი გატეხეს და 1200 მანეთი წაიღეს.

ბოროტება დაუსჯელი არ დარჩენილა, მძარცველები დაიჭირეს და სამაგიეროც მიუზღეს. მაგრამ რა ვუწოდოთ ტარიელის საქციელს, მან ვითომ მართლა ქურდობა ჩაიდინა? არა, მისი დანაშაული უფრო მეტია — ლაფი დაასხა თავის ოჯახს, ჩრდილი მიაყენა მთელ სოფელს. აი, სადამდე მიაყავს ადამიანი უსაქმურობას და სიხარბეს.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

კვირის ქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომხმარებლის მოტყუება, გაბოროტება, [illegible] ... რა გვსურს გამოვყოთ ქრონიკაში გასული კვირის დანაშაულობათაგან.

მომხმარებელთან ურთიერთობაში მოტყუების გაზრდილ მადაზე აღმოჩნდა საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემის ამიერკავკასიის სამხედრო სოლოქო სახელოსნოს მესაათე ილია ნასიმოვი, რომელმაც საათის შეკეთების ნიხრით გათვალისწინებულ საზღაურს 6 მანეთი წაუმატა. შემკვეთს 8 მან. 80 კაპიკით მეტი დაუჯდა გორის მესამე ატელიეს მკერავ გურამ ნარიაშვილთან შარვლის შეკერვა. მოტყუებაში სარეკორდოდ აქვს საქმე. მარნეულის რაიონის ავტომანქანების საკარძლებისათვის გადასაკრავი მაუდის საამქროს ბრიგადირს მამედოვს საათ ქუმბათოლლის, რომელმაც მომხმარებელი 20 მანეთით მოატყუა.

ზნაურისა და ქარელის რაიონებში თავი გაკაცურებინეს მოლდავეთიდან ჩამოსულ თაღლითებს ნატალია პეტრეს ასულ და აურიანა ვასილის ასულ კანტიებს, რომლებმაც ჩვეულებრივი ლითონის ბეჭედი ოქროდ გაასალეს. თანაც აურიხასათვის ეს მეორე ვიზიტი ყოფილა ზნაურის რაიონში — შარშან მაისში ოთხი გულუბრყვილოსათვის ასეთი ბეჭედით უკვე დაუმშვენებია ხელი.

გამოძალვის მცდელობას ჰქონდა ადგილი გორში. რაიკოოპერატივის ტკვიავის საკავშირო ცენტრის გამგემ ლალი პავლიაშვილმა ქალაქის მილიციაში წარადგინა წერილი, რომელშიც უცნობი პირი ბავშვის მოკვლით ემუქრებოდა მას, თუ 10.000 მანეთს არ გაიღებდა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქალაქო განყოფილების თანამშრომლების ცდითა და მეცადინეობით უცნობი ნაპოვნი გახდა: წერილი დაწერა და თავის კოლეგას მიუგდო სოფ. შავშვების სამრეწველო საქონლის მაღაზიის გამგემ ზაურ ყოჩაშვილმა.

თუ ლალი პავლიაშვილს შექმნილ ვითარებაში ნერვებმა არ უმტყუნა, მუქარის წინაშე შედრკნენ ცეკავშირის „საქკოოპრემშშენის“ ქუთაისის ტრესტის თანამშრომლები ბევრი ზარნაძე და ამირან ვაშაყმაძე და 5.000 მან. გაიღეს ორჯერ უკვე ნასამართლევი, უსაქმური ბონდო ცვანიძის სასარგებლოდ, რათა ამას არ გაეცა მათი სამსახურებრივი დანაშაული.

ძალიან დასანანია, რომ გამოძალვის მექანიზმს უკვე დაეუფლნენ სრულიად ახალგაზრდა ყმაწვილები მანწარ რობაქიძე და მამუკა კობახიძე და გამოიყენეს კიდეც მათსავით სრულიად ახალგაზრდა ქალის მიმართ, რომელსაც ამ თავმოყვარე „ჯენტლმენებმა“ 500 მანეთი გამოძალეს შეურაცხყოფის მუქარით.

კვირის ქრონიკისათვის დამახასიათებელია უბედური შემთხვევებიც. რაკომფლაც თბილისის ზღვაზე ინრჩობა დაახლოებით იმდენივე კაცი, რამდენიც შავი ზღვის საქართველოს მთელ სანაპიროზე. ალბათ მისახედია უსაფრთხოების სამსახური.

დიდი უბედურება დატრიალდა ერთ ოჯახში, ბაბუა გარდაიცვალა. მის ნაქონ თოფს ოჯახის უფროსმა დასამალი ადგილი ვერ მოუნახია და გარდაცვლილის 12 წლის შვილისშვილს თავისი 10 წლის და შემოაკვდა.

● ●

ქოვზი ნაცარში...

მექართამე ლექტორებს კანონის მახვილი ელით

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პარტიულ კომიტეტში ინფორმაცია შეავიდა. იგი პარტიული კომიტეტის ხელმძღვანელებს აუწყებდა, რომ ინსტიტუტის მეცნიერული კომუნიზმის კათედრის უფროსი მასწავლებელი გენადი პაშუტო სტუდენტებისაგან საგნის ჩათვლასა და ჩაბარებაში გარკვეულ გასამრჯელოს ითხოვდა, კერძოდ, ჩათვლაში — 50 მანეთს, ჩაბარებაში — 100 მანეთს, ხოლო სახელმწიფო გამოცდებში — 150_200 მანეთს.

ბუნებრივია, პარტიულმა კომიტეტმა, რექტორატმა ადმინისტრაციულ ორგანოებს მიმართეს.

დედაქალაქის ორჯონიკიძის რაიონის პროკურორის თანაშემწემ ა. ერაძემ მასალების მოკვლევის მიზნით შეისწავლა და შეაფასა განცხადებაში აღნიშნული ფაქტები. ს



„ძეგლი ავიგე ხელთუქმნელი...“

ყოველწლიურად ივნისი ჩვენს ქვეყანაში პოეზიის თვეა,

„რუსეთის პოეზიის მზის“ ალექსანდრე პუშკინის თვეა.

წლიულაც არნახული ბრწყინვალებით ჩატარდა პუშკინის დღეები... მოსკოვი, ლენინგრადი, თბილისი, მიხაილოვსკოე, კიშინიოვი, ზახაროვო, ოდესა, ფსკოვი, ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ქალაქები და სოფლები, საზღვარგარეთი...

საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტების ჯგუფი ეწვია ცარსკოე სელოს, სადაც პუშკინის ყრმობის წლებმა გაიქროლა... დღეს ამ პატარა ქალაქს, დიდი ლენინგრადის კარის მეზობელს, პუშკინო ჰქვია... კრძალვით და მოწიწებით მივეახლეთ ლიცეუმის მუზეუმში გამოფენილ რელიკვიებს, ვნახეთ პუშკინის პატარა ოთახი, ჩვენს წინ აღსდგა შორეული ფიქრები. თითქოს გამოჩნდნენ ცარსკოე-სელოს თვალწარმტაც ხეივნებში პუშჩინი, დელვიგი, კუხელბეკერი, ილიჩოვსკი... ლიცეუმის ბიბლიოთეკის დათვალიერების დროს ჩაბნელებულ სამკითხველოს დარბაზში უცებ მზემ შემოიხედა: ლათინური, რუსული, ფრანგული, ინგლისური და გერმანული ენაზე დაბეჭდილ ტომების შორის თვალი მოვკარი შავ ტყავით დადაკრულ წიგნს: სანკტ-პეტერბურგში 1811 წელს დასტამბული „ქართველი ერის ისტორიის მიმოხილვას“ და აქვე პეტერბურგში 1813 წელს დაბეჭდილ „თავად პ. ი. ბაგრატიონის უკანასკნელ დღეებს“. პუშკინი კითხულობდა საქართველოს ისტორიას! მან იცოდა ჩვენი ერის დიდებული და გმირული წარსული. ცნობილი პუშკინმკვლევე ა. გესესი თავის ნაშრომში — „პუშკინი წიგნებთან და მეგობრებთან ერთად“ — წერდა: „31 აგვისტოს, თვალცრემლიანი პატარა ლიციელტები კითხულობდნენ ბოროდინოს ბრძოლის ამბავს, 4 სექტემბერს დაიწყო მოსკოვის ხანძარი, 14 სექტემბერს უნდა დაწყებულიყო ლიცეუმის ეკზაკუაცია, 15 ოქტომბერს პეტრე-პავლეს ციხის გალავნიდან გაისმა ზარბაზნის ბათქი, რომელმაც მსოფლიოს ამცნო ნაპოლეონის დამარცხება. 1812 წლის 19 ოქტომბერს ლიცეუმის მოსწავლეებმა ერთად სწავლების წლისთავი აღნიშნეს. მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. განსაკუთრებული ქება და დიდებით იგონებდნენ პეტრე ბაგრატიონს, რომლის გმირობამ მარადიული შარავანდედით შეამკო რუსეთის საბრძოლო დიდება!...“.

...გვიან ღამით, როცა ექსპრესმა „წითელმა ისარმა“ გეზი მოსკოვისაკენ აიღო, ვფიქრობდი იმ საოცარ და სინაზით სავსე დამოკიდებულებაზე, რომელიც პუშკინს საქართველოსთან აკავშირებდა. XIX საუკუნის გამოჩენილი რუსი მწერალი და კრიტიკოსი ვ. ანენკოვი თავის გახმაურებულ ნაშრომში — „მასალები პუშკინის ბიოგრაფიისათვის“ — წერდა: „ცნობილი კომპოზიტორი ი. გლინკა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი აღმაფრენით უკრავდა ქართულ მელოდიას. დამსწრეებმა აღნიშნეს, რომ საყოველთაო წარმატებისათვის ასეთი მელოდიას მხოლოდ ლექსის გაწყობა აკლდა“. ეს ამბავი ანენკოვს თვით გლინკას უამბო, რომელმაც ეოტა მოგვიანებით თავისი რომანსის დედანზე ასეთი წარწერა გააკეთა: „ეს ეროვნული ქართული მელოდია კომპოზიტორს გრიბოედოვმა გადასცა. პუშკინმა შემთხვევით გაიგონა ეს მელოდია და დაწერა თავისი უკვე ყველასათვის ცნობილი ლექსი“ („გლინკას ჩანაწერები“, 1887 წ. 48 გვ). ასე იშვა პუშკინის შედევრი „ნუ იმღერ ჩემთან, ლამაზო ქალო“... გლინკას მუსიკალური გენიით აღფრთოვანებულმა პოეტმა თავის მხრივ შექმნა ერთ-ერთი ყველაზე მუსიკალური ნაწარმოები. ლექსის ჟღერადობამ და ლირიკულმა ტონმა გლინკას შემდეგ კიდევ მრავალ კომპოზიტორს აიკიდებინა თავისებურად ეს უკვდავი სტრიქონები:

„ნუ იმღერ ჩემთან, ლამაზო ქალო,
შენ საქართველოს სევდიან ხმაზე,
მე მაგონდება, როცა შენ გალობ,
სხვა ცხოვრება და სხვა სილამაზე“...

ეს ლექსი და საქართველოს თემებზე შექმნილი ლექსები — „საქართველოს მთებზე“, „ზვავი“, „ფელიცაში“, „მონასტერი ყაზბეგზე“, „კავკასიონი“ და სხვანი ბ. ბელინსკის ხატოვანი გამოთქმით, პუშკინის ლირიკული პოეზიის განუმეორებელი შედევრებია. ბელინსკის გარდა, იმდროინდელი ცნობილი ლიტერატორები ლ. პოლევანოვი, ს. ანდრიანოვი, ი. შლიაპკინი და სხვანი თავის ნაშრომებსა და გამოკვლევებში დიდ ადგილს უთმობენ პუშკინის მიერ საქართველოს ჰანგებზე შექმნილ შედევრებს და განსაკუთრებით გამოჰყოფენ ლექსს „საქართველოს მთებზე“, — აღნიშნავენ მის საოცარ გულწრფელ ხმოვანებას და პოეტის სულიერ აღმფრენას... ლექსი რვაჯერ აღიერება სხვადასხვა კომპოზიტორის, მათ შორის ნ. რიმსკი-კორსაკოვისა და პ. ეიარდო-გარსიას მიერ.

„საქართველოს მთებს ღამის
ბინდი შემოჰფენია.
ხმაურობს ხევი არაგვის ხმაზე,
ჩემი მოწყენაც ითლია — ის
ნათელია.
შენის მშვენებით და შუქით
სავსე“.

...ბასილ ივნისშივე შესრულდა მოსკოვში პუშკინის ძეგლის გახსნის 100 წელი...

„ძეგლი ავიგე ხელთუქმნელი, უნტარესი“... სიკვდილამდე რამდენმე თვით ადრე ამ ლექსით თავისი უკანდავება იწინასწარმეტყველა პოეტმა...

1860 წელს ცარსკოე სელოში ლიცეუმის დამთავრების 50-ე წლისთავის ღისანიშნავად პუშკინის მეგობრების თაოსნობით დაიწყო თანხის შეგროვება პოეტის ძეგლის ასაგებად. ეს იყო ხალხის ნება-სურვილი და საყოველთაო აღტაცება. მთელ რუსეთში კაპიკ-კაპიკ აგროვებდნენ ფულს. 1872 წელს ძეგლის გახსნისთვის საჯარო მატერიალური მხარე დამაკმაყოფილებლად მიიჩნიეს. ძეგლი ცარსკოე-სელოში უნდა აღმართათ, მაგრამ ოფიციალურმა პეტერბურგმა არ ისურვა მეფის დინასტიის სადიდებლად აგებული ძეგლების გვერდით მეამბოხე პოეტისთვის დაეთმოთ ადგილი. გადაწყდა ძეგლი მოსკოვში აღმართათ — ტვერის ბულვარის დასაწყისში, ყველაზე ხალხმრავალ ადგილას. ასე ინება ძეგლის შექმნისათვის სპეციალურად შედგენილმა კომიტეტმა.

კიდევ ერთი სიმბოლური მინიშნება ჰქონდა მოსკოვის არჩევანს: 1826 წელს მეფისაგან შერისხული პოეტი თავის ბავშვობის ქალაქ მოსკოვში დაბრუნდა, სადაც მას ზარ-ზეიმით შეხვედრა და საყოველთაო ბეჭითი ელოდა. ცნობილი ლიტერატორი იზმაილოვი წერდა იმ დღეებზე: „მე მშურს მოსკოვის... მან პუშკინს პოეზიის მეფის გვირგვინი დაადგა...“

ორი კონკურსის შემდეგ, რომელიც პუშკინის ძეგლის შესაქმნელად იყო გამოცხადებული, გამარჯვება ა. ოპეკუშინს დარჩა. მან უკან ჩამოიტოვა ევროპაში ცნობილი ოსტატები: შრეიდერი, ზაბელო, ანტოკოლსკი და მიკეშინი. თვითონ ა. ოპეკუშინი, ყოფილი ყმა, შემდეგში აკადემიკოსი გახდა. მან დიდი ღვაწლი დასდო ქანდაკებაში პუშკინიანას ხორცშესხმას.

1880 წლის 6 (18) ივნისს ზღვა ხალხით გარშემორტყმული ტვერის ბულვარი გაუთავებელი „ვაშას“ ძახილით მიესალმა ძეგლის გახსნას. ამ დღეს პირველად გამოეცხადა თავის თანამეშაყლეებს პუშკინის ბრინჯაოთი ჩამოსხმული დიდებული ძეგლი...

...43 წლის განშორების შემდეგ მოსკოვმა გულში ჩაიკრა და სამუდამო ადგილი დაუმკვიდრა თავის სახელოვან თანამემამულეს...

ზღვა ხალხმა მოწიწებით შემოუარა სათაყვანებელი პოეტის ძეგლს. პუშკინის დღეები სამ დღეს გაგრძელდა. ლიტერატურული საღამოებზე გამოვიდნენ ი. ტურგენევი, თ. დოსტოევსკი, ა. ოსტროვსკი, ი. აქსაკოვი, ი. პოლონსკი, ა. პისემსკი და სხვანი.

8 ივნისს გვიან ღამით პუშკინის ძეგლთან ეტლი გაჩერდა. ეტლიდან დოსტოევსკი გადმოვიდა. საშინლად დაღლილი, უკვე უცურნებელი სენით დაავადებული, მუიახლოვდა პუშკინის ძეგლს, დაფნის გვირგვინით შამკო და თაყვანი სცა რუსეთის პირველ პოეტს...

პუშკინის დღეებს ესწრებოდნენ პოეტის შვილები: მარიამ გარტუნგი, ნატალია მერენბერგი, გრიგოლ პუშკინი და ნარვის გუსართა პოლკის მეთაური, ფლიგელ-ადიუტანტი ა. პუშკინი...

საყოველთაო-სახალხო ზეიმი გაიმართა პეტერბურგში, ოდესაში, ვარშავაში, თბილისში, რიგასა და ფსკოვში...

დგას გორკის ქუჩაზე, მოსკოვის შუაგულში პუშკინის ძეგლი... ზამთრის შაკარ ყინვასა თუ ზაფხულის თაკარა მზეში ყველაფერის ზღვით არის გარშემორტყმული... თავდახრილი ფდგავართ და თითქოს გვესმის პ. იაშვილის გადმოქართულებული მისი სიტყვები:

„მოყვარულ ხალხში არ
მოკვდება ჩემი სუფევა,
რადგან სიკეთეს უგალობდა
ჩემი ჩანგური“...

დ. მაჭავარიანი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.
ლენინგრადი-მოსკოვი.

სურათებზე: ა. ს. პუშკინის ძეგლი ლიცეუმის ბაღში; ამ პატარა მაგიდაზე წერდა პოეტი.

გუჯარულას წყალსადენი

ბორჯომი. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს „სპეცმშენის“ ტრესტის № 132 მოძრავი მექანიზებული კოლონის მშენებლებმა მდინარე გუჯარულაზე წყლის შემკრები თერთმეტი აუზი და ოთხი საფილტრე ნაგებობა ააშენეს. ოცდაორ კილომეტრზე გაიყვანეს ახალი წყალსადენის მაგისტრალი. ახლა მდინარე გუჯარულა ახალი სიცოცხლით ცხოვრობს.

ლ. კილაძე.

უფროსების მხარდამხარ

ცხაკაია. უშაფათის სკოლის მოსწავლეებმა საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მშობლიურ სოფელში დარჩენა გადაწყვიტეს. მათი გადაწყვეტილება მოიწონეს რაიონის ხელმძღვანელებმა, და აი, დღეს ისინი მინდვრებსა თუ ფაბრიკაში უფროსების მხარდამხარ შრომობენ.

გ. გულუა.

სოფელი კმაყოფილია

ჩხოროწყუ. მონგირის უბანი საკმაოდ შორს არის სოფელ ახუთის ცენტრიდან. ცუდი გზის გამო აქ მიმოსვლა ძალზე ჭირდა. სოფლის მშრომელებმა გზის შეკეთება გადაწყვიტეს. თქვეს და აასრულეს კიდეც. გზა შეაკეთეს, კეთილმოაწყეს.

ნ. კეკელია.

აშენდა, დამშენდა

ტყიბული. დღითი დღე იზრდება და მშენდება სოფელი ბუეთი. ამ ბოლო წლებში ბევრი რამ შეემატა სოფელს: აშენდა კოლმეურნეობის ადმინისტრაციული სახლი, სოფლის მაღაზია და ფურნე. მშრომელებმა წესრიგში მოიყვანეს ხიდ-ბოგირები, შეკეთდა და კეთილმოეწყო სასოფლო გზები. აშენდა ახალი კაპიტალური საცხოვრებელი სახლები. თვალს ახარებს გამრჯე ხელით მოვლილი ბაღ-ვენახები და კოპწია კარ-მიდამოები. სოფელი რადიოფიცირებულია და თითქმის ყველა ოჯახში ციმციმებს ცისფერი ეკრანი.

ნ. ჯინჯიხაძე.

პატარები გაახარეს

ონი. ჩორდმშენის სამმართველომ ორსართულიანი, 140 ადგილიანი საბავშვო ბაგა-ბაღის შენობა ააგო. დიდი სიხარული ჰქონდათ ახალ მობინადრეებს. ოთახები პატარების ფრიამფულით აივსო. მათ აქ დახვდათ ახალი ინვენტარით გემოვნებით მოწყობილი სათამაშო, სასადილო და საძინებელი ოთახები.

ნ. დუუშაშვილი.

როდესაც გადავწყვიტე ამ წერილის თემად ერთგულება ამერჩია, სულაც არ მიფიქრია, რომ ასე გამძიმდებოდა. ერთ-ორ ჩემთვის კარგად ცნობილ პიროვნებას გავესაუბრები, ცხოვრებისეულ მაგალითებს მოვიშველიებ, პოეზიაც ხელს გამიმართავს-მეთქი, ვფიქრობდი. ერთმა მეგობარმა სხვათა შორის მითხრა, იტალიაში ძეგლი აუგეს ძაღლს, რომელიც თხუთმეტი წლის განმავლობაში ხვდებოდა ავტობუსის გაჩერებაზე პატრონს, ომში როგორ დაიღუპაო. ადამიანისადმი ცხოველთა ერთგულების უამრავი ფაქტი არსებობს, მაგრამ ეს საკითხი ჩემთვის სულ სხვა განზომილებებს მოიცავს, მე მინდა ვიფიქრო ადამიანზე, ადამიანურ თვისებებზე, რომლებიც ყველა ჩვენს თანამედროვეს უნდა ახასიათებდეს.

ჩვენ, ქართველები, ერთგულების დიდი გრძნობით მოვდივართ დასაბამიდან. ეს ტვირთი ძნელიც არის და საპატიოც. ამაზე გვიამბობს კრწანისი და დიდგორი, ჯვარი და კუბურდო, სვეტიცხოველი და ნიკორწმინდა, ცურტაველი და დიდი რუსთველი, სულხან-საბა და გურამიშვილი, ვაჟა და ილია, დიდებული ჩვენი იაკობ გოგებაშვილის „ცხოვრების წესი, ნიკო ფიროსმანაშვილისა და ლადო ასათიანის, უკვდავი გალაკტიონისა და ჩვენი სათაყვანო ლადო გუდიაშვილის ხანგრძლივი შემოქმედებითი ცხოვრებით განსპეტაკებული სახელები.

ერთგულება — ეს ის იმპულსია, კაცს რომ ყოველივეს დაავიწყებს და მშობელი მიწისთვის სიკვდილს გაუადვილებს, შრომაში გართულს რომ დაღლას არ აგრძნობინებს, მწვერვალის დამპყრობს რომ ისეთი სიხარულით აუვსებს გულს, თითქოს მთელი მსოფლიოს საგანძური დახვედროდეს იმ მწვერვალზე. ერთგულებაა ის ჯადო, ახალგაზრდა, მშვენიერ მამიდებს რომ დაობლებულ ძმისწულებს აზრდევინებს, ომში წასული ვაჟკაცის ახალგაზრდა ქვრივს რომ სიკვდილამდე ძაძებში ატარებს, სამშობლოს სალ კლდეებს რომ უკვდავებს ხეზე არ გაგაკვლევინებს! ერთგულება რომელიმე ერთ ნიშანთვისებას როდი გულისხმობს, ვთქვათ, მარტო სიკეთეს, მარტო შეგნებულ გაზრდას წინაპრთა ღვაწლისას, მარტო პატიოსნებას ან მარტო სიმართლის სიყვარულს... ერთგულება ძალზე რთული და ტევადი ფენომენია და ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილს და კიდევ მრავალ სხვა ღირსებას აერთიანებს. ერთგულებაა ის დიდი მიზეზი, რომელიც „კაი ყმისა“ და „ხმელი წიფლის“ ავტორს ათქმევინებს:

„ვინა სთქვა: „ტრფობა ბერდება და სატრფიალო საგანი, ყინულს ეკალს დაისხამს წამწმენი ცრემლით ნაბანი, ცრემლითა ნასურვილევით, დრო რა გაივლის და ხანი?! ცოცხალი პირქვე დამმარხეთ, დამხურეთ მიწის საბანი, თუ ჩემს შენდამი სიყვარულს, დაეკლოს ერთი ცვარია. თუმცა რაც პირველად ვნახე, მას შემდეგ კარგა ხანია. ცოცხალს შენა მფენ გულზე ვარდს თუ ავდარი — თუ დარია, საფლავშიც შენზე ვიფიქრებ, შენგნით ვიცოცხლებ მკვდარია“.

ჩვენი დღევანდელი, ძალზე რთული ეპოქა, ციგილიზაციის ყაყანოთი ქალთამოხატული, ამავე ყაყანოს თესლთა და რესტორნების ყაყანით თავბრუდახვეული, რა დასამალია და, ზოგჯერ ხელიდან გვაცლის საუკუნეებს მანძილზე შექმნილ და სიმწრით სრულქმნილ კრიტერიუმებს.

შესაძლოა ჩემმა მოსაზრებებმა კამათიც კი გამოიწვიოს, მაგრამ მე მტკიცედ მწამს: არ შეიძლება ოჯახს ღალატები და კარგი ვიფიკაცის სახელი გერქვას; არ შეიძლება ყიდველს წონაში ატყუებდე და თავი მამულიშვილად მოგქონდეს; არ შეიძლება მგზავრს, რომელიც ტაქსით სადღაც მიიჩქარის, ზედმეტი ფული გამოსძალო და რაინდად დარჩე; არ შეიძლება ბაზარში მიხაკს მამასისსლად ყიდდე და სილამაზის ფასი იცოდე; არ შეიძლება უფროსებთან მლიქვნელობდე და სულიერი ღირსება შეინარჩუნო; არ შეიძლება სიმწრით მოყვანილ ყურძენსა თუ თამბაქოში ზხამს ურევდე და პატრიოტი იყო; არ შეიძლება შეილებს არამი პურით ზრდიდე და კარგი მშობელი იყო; არ შეიძლება საქვეყნო საქმეს ღალატობდე და კარგი მეგობარი იყო... ჩვენმა ისტორიამ, სამწუხაროდ, ღალატის მაგალითებიც იცის. არსებობენ სახელიანი და უსახელო მოღალატენი, ისევე, როგორც სახელგანთქმული და უსახელო გმირები. განა ქართველი კაცის რაფინირებულ ადამიანურ მორალზე არ გვიამბობს ეს ხალხური შედეგი: **„ნეტაი გულის ფიქრები თვალითამც აივსებოდა, კაცის ერთგული, ორგული, სუფეველა გაიგებოდა, წესადამც იყოს, ორგული ნდობით აივსებოდა. ძველიცა მოსპო წესდება, ახალმიც დაიწყებოდა, რომ მუდამ შენთან ყოფნითა არვისგან დამბალორებოდა“.**

განა შეიძლება პატივისცემის ღირსად ცნო ადამიანი, რომელსაც ათასობით სიცრუის თქმა შეუძლია და მხოლოდ აქა-იქ თუ გამოუტრეგს სიმართლეს; „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსაო“, ანთებული სანთელივით გადმოგვიღოლავ რუსთაველმა, ჰოდა, არ შეიძლება იყო ერთდროულად ცრუ და მართალი, ცუდი და კარგი... თუ ახალგაზრდა კაცი შეგნებულად ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს გოგონა, გაანწილოს იგი, განა შესაძლებელია ის კარგი მამულიშვილი ან კარგი მეგობარი იყოს? თუ მეუღლეს თვალს უხვევ, განა არსებობს ადამიანი, რომელიც მოგეწყინდა და მახლობლად ჩაგთვლის? და თუ მე ვცდები, თუ ჩვენში მეუღლის, საცოლის, მეგობრის მოტყუება დიდ ცოდვად არ ითვლება, თუ ასეთ ადამიანებს მაინც თავის კარს ულებს ნათესავი თუ მეზობელი, ანდა თუ კარიერისტის, მუქთახორას, საქმოსნის, მოგზეგჭელის ქარვასლაში ჩვენ სიამოვნებით შევდივართ, მაშინ საჭიროა საგანგებოდ გადავხედოთ ჩვენს შინაგან სამყაროს, ჩვენს სულში დაბუდებულ რწმენას — ხომ არ შეელახა იგი, ხომ არ გავხდით დამთმობნი და შემგუებელნი ყოველივე იმასთან, რაც ალაგმვისა და საყოველთაო გაკიცხვის ღირსია?!

ერთგულება — ეს შენი ყოველდღიური მოვალეობისადმი პატიოსანი მიდგომაც არის. მინდა ერთი ასეთი სურათი გავიხსენო: დილას, რუსთაველის გამზირის დასაწყისში ახლად გაღებულ გასტრონომში თეთრხალთათიანი ლამაზი გოგონა დგას. მის ფეხთით რძის თეთრი, ქთქთა მდინარეა. გოგონა რძის მდინარეში ჩამდგარა! ეს შავთვალა ქალიშვილი № 2 გასტრონომის გამყიდველია, რძეკი იმ ეგრეთ წოდებული სტერილიზებულ „დახურული“ რომბისებრი პაკეტებიდან მოჩქეფს, ასე უხვად რომ არიგებს. ქალაქში რძის კომბინატი.

ვინ იცის, რამდენი მყიდველი — ცალკე.. და არის ერთი სირბილი სკოლებში, შეხლა-შემოხლა, მიგრაციები, სასწავლო ნივთების დაკარგვა, პოვნა და ისევ დაკარგვა... ვის სცალია სკოლის ეზოს, ქედლების მისაფერებლად, სამოდამოდ დასახსომებლად.

ერთგულების გაკვეთილი არ არსებობს, მაგრამ საბავშვო ბაღის, სკოლის, ინსტიტუტის ყველა მუშაკი თავისი ფაქიზი დამოკიდებულებით, პირადი მაგალითით უნდა უნერგავდეს აღსაზრდელებს ამ უბადლო პირველსაწყისს ჩვენი პიროვნების ჩამოყალიბებისას.

ერთგულება სჭირდება ყველაფერს, წყალსა და პიწულ, ტყესა და ჰაერს, დასა და მშობელს, მკვდარსა და ცოცხალს...

ძალიან მძიმე სანახაობაა, როდესაც ადამიანს, რომელსაც სიცოცხლეში შვილები ათასში ერთხელ თუ მიაკითხავდნენ, გარდაცვალების შემდეგ ხუთასკაიან ქელეხს უმართავენ და შავი მარმარილოს აკლდამას აუგებენ ხოლმე; ასეთ ჭირისუფლებს, ჩვეულებრივ, წლისთავზე თუ გაახსენდებათ თავიანთი მიცვალებული. ისიც ხალხის დასანახად, არაფერი თქვენო. ეს ჭეშმარიტ ერთგულებაა!..

მაგრამ მე ვიცი ერთი სადა საფლავი, რომლის გარშემოც ყოველი თვის რვა რიცხვში თავს იყრიან ახლობლები და მეგობრები, მინდვრის ყვავილებს მიიტანენ, ლექსებს წაიკითხავენ, მის დაწერილ წიგნებს გადაშლიან, ოჯახში თითო ჭიქა ჩაის დალევენ და მისივე ფიქრი სახელის ხსენებით დაიშლებიან ხოლმე. არასდროს არავის არ დაუდგენია, უთუოდ უნდა შეეკრიბოთ ხოლმე, უბრალოდ, იმ ადამიანს გარშემო ერთგულების თავისებური წრე შეიკრა. ეს არის და ეს.

უნივერსიტეტიდან ბევრი დიდებული აღმზრდელის სახე გამომყვა. ხომ იბადებიან ადამიანები ახალგაზრდობის გულის მესაიდუმლეებად, მეცნიერებისათვის იმთავითვე შეწირულებად, მამულიშვილებად. ასეთია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სოლომონ ხუციშვილი. დიდი ივანე ჯავახიშვილისა და კორნელი კეკელიძის, აკაკი შანიძისა და ვარლამ თოფურიას, შალვა ნუცუბიძისა და მიხეილ კვესელავას უსაყვარლესი სახეების გვერდით მე ხშირად ვხედავ სოლომონ ხუციშვილის სახეს.

როცა ვაიგო, ერთგულების თაობაზე წერილის დაწერას ვაპირებდი, ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვები შემომაგება: „დღეს გამოჩნდება, ვინ არს ერთგული, ვის უფრო გვიყვარს, ძმანო, მამული“...

— ერთგულება მაშინ ხმიანობს, როცა მას საზოგადო, სახალხო, ეროვნული მნიშვნელობა აქვს, როცა იგი დიდი ეროვნული საქმის სამსახურისათვის იწვის. ერთგული ცოლია ქმრისა, ქმარი—ცოლისა, დედა — შვილისა, შვილი —დედისა, ამხანაგი — ამხანაგისა, მაგრამ ეს კერძო ამბებია. ის სულ სხვაა, საქმის ერთგულება!

— ერთგულებას ყვავილი და თავის გამოჩენა არც უყვარს და არც ეკადრება. ერთგულება გულიანად არის დაფარული, იგი ჩნდება მხოლოდ საქციელით. ერთგული, თავგანწირვა, გმირობა ერთგვარი სიმაღლისანი არიან. ეი, რომ ბევრს უნარი არ შესწევს ასეთი იყოს. არადა, ერთგულება ყველაზე ადამიანური, ყველაზე უმწიკვლო, ყველაზე მაღალი თვისებაა ადამიანის პატარა გულისა, მკერდის ქვეშ რომ დაუსვენებლად ფეთქავს — დასძინა მან.

დიახ, ერთგულება ყველაზე ადამიანური, ყველაზე მაღალი თვისებაა ადამიანის გულისა!

ერთგულება ჩვენი თვისებაა, ჩვენი მარადიული და სანატიო ტვირთია, ჩვენი ადამიანობის გვირგვინია!

ნელი გაბრიჩიძე.

ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიულობა

გამომცემლობა „ხელოვნება“ გამოსცა ოთარ ეგაძის წიგნი „ლენინი ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიულობის“ (დოქტორი ნ. გელოვანი, მხატვარი გ. გორდელაძე).

წიგნი მრავალი წლის გულმოდგინე შრომის, ვ. ი. ლენინის ეპოქისა და შრომების ღრმა ანალიზის შედეგია. ავტორმა კარგად გადმოგვცა ის სოციალური თუ კულტურული გარემო, რომელმაც გაიზარდა მომავალი ბელადი და რომელმაც განაპირობა მისი მსოფლმხედველობა.

— „ვინ არის დამნაშავე?...

— რით დავიწყოთ?...

— რა ვაკეთოთ?..

ასეთ გლობალურ კითხვა-პასუხის ეპოქაში დაიბადა ჩვენი ქვეყანა, — პირველი სოციალისტური სახელმწიფო დედამიწაზე“ — ეი, ასე სხარტად, საინტერესოდ იწყება ეს წიგნი და უკვე იქმნება მიზიდულობის ის ძალა, რომელიც მყარდება ხოლმე, კარგ წიგნსა და მკითხველს შორის.

წიგნი იმითაც არის საინტერესო, რომ მასში აისახა საქართველოს რევოლუციური წარსულიც, რომელიც გადმოცემულია თავებში „საპირველმაისო სიმღერები საქართველოში“ და „მარსელიოზა საქართველოში“.

ო. ეგაძე თანამიმდევრულად მოგვითხრობს ბელადის ბავშვობისდროინდელ ლიტერატურულ და თეატრალურ შთაბეჭდილებებზე, რომლებიც ემყარებოდა ულიანოვების ოჯახში დამკვიდრებულ მდიდარ ტრადიციებს, ხალხური პოეზიისა და მუსიკის თუ კლასიკური მემკვიდრეობის თაყვანისცემას.

შემდგომ ეს შთაბეჭდილებები გაღრმავდა, გაიზარდა თეორიულ მეზედულებებში, ამასთან შრომებში, სწორედ ლენინური მემკვიდრეობის ამ მნიშვნელოვან სფეროზე, — ლიტერატურისა და ხელოვნების, კერძოდ კი ამ დარგთა პარტიულობაზე გვესაუბრება ო. ეგაძე წიგნში, რომელიც ქართული ლენინიანის მნიშვნელოვანი შენაძენია.

ლენინი
ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიულობის

ახალი წიგნები

ქართული ჭედური და ფერწერული ხატები

ხელოვნების იშვიათი ნიმუშები

„ძართული ჭედური და ფერწერული ხატები“ — ასე ეწოდება ალბომს, რომელის ავტორები არიან თეიმურაზ საყვარელიძე და გაიანე ალიბეგაშვილი (გამომცემლობა „ხელოვნება“).

წინათქმაში რედაქტორი ოთარ ეგაძე ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა მიენიჭა რესაუბლიკაში ამ ბოლო წლებში საქართველოს სულიერი კულტურისა და ისტორიული მატერიალური ძეგლების დაცვას და რომ წინამდებარე წიგნი ამ საქმისადმი მზრუნველობითა და სიყვარულით შეიქმნა.

„ქართული ჭედური და ფერწერული ხატების“ ფერადი ალბომი მოიცავს მერვე-მეცხრამეტე საუკუნეებს. გამომცემლობა წელს და გაისად კიდევ არაერთ საინტერესო ალბომს ჰპირდება მკითხველს, მათ შორის „დამიანეს ფრესკებს“, „ყინწვისის მოხატულობას“, „ატენისა“ და „წალენჯიხის“ ფრესკებს, რვა მხატვრის მიერ დასურათებულ მეხუთე საუკუნის ქართული მხატვრული პროზის შედევრს „შუშანიკის წამებას“ და სხვ.

მონრეალში გამოფენაზე

კანადის ქალაქ მონრეალში გაიხსნა ცნობილი ქართველი ფოტოხელოვნის სიმონ კილაძის პერსონალური გამოფენა, რომელიც „კანადა-საბჭოთა კავშირის“ ასოციაციის გამგეობამ მოაწყო.

გამოფენაზე წარმოდგენილია 120 შავთეთრი და 30 ფერადი მხატვრული ფოტოგრაფიის ნამუშევარი, რომელთა უმრავლესობა ჯილდოებით და პრემიებით აღინიშნა საერთაშორისო გამოფენებსა და ფოტოკონკურსებზე. ქართულმა ფოტოხელოვნებამ დიდი ინტერესი გამოიწვია და იგი ნაჩვენები იქნება აგრეთვე კვებეკსა და ტორონტოში.

სურათებზე: ს. კილაძის ნამუშევართა მონრეალის გამოფენის ექსპონატები „ქართული ხალხური ციკვების ფრაგმენტები“.

ლენინი

ლიტერატურული ჟურნალი

დამაარსებელი
„ბოლშევიკი“

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ტელევიზია

6 აგვისტო

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 18.00 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.20 — მოსწავლეთათვის — „საამონელქარი“ (ფ.), 19.10 — „განცხადებები, 19.15 — „ადამიანი—საზრუნავი უპირველესი“. (ფ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“ (ფ.), 20.30 — ქართული მხატვრული ფილმი „ნერგები“, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — ფიზიკურთა საბჭოთა კავშირის პირველობაზე: „ცაშეტგის „ფაბთაფერი“ — თბილისის „დინამო“. 5 აგვისტოს მაგრის მეორე ტაიმის ვიდეოჩანაწერი, 23.20 — ახალი ამბები. (ფ.),

მეორე პროგრამით: 16.00 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ბაზს რიოკლე და ეშმაკი“, (ფ.), 17.15 — განცხადებები, 17.20 — „საკრავის ისტორია“ — ვიოლინო (ფ.), 18.30 — საგანმანათლებლო მხატვრული ფილმი „მოჯადოებული ფრინველი“.

საქართველოს კ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი

დამატებით აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქის უმაღლესი სასწავლებლების დღის განყოფილებებზე კონკურსგარეშე ჩასარიცხად.

საბუთების მიღება იწყება ივლისის 10-დან 13 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები გაიმართება 14-დან 20 აგვისტომდე.

უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხებიან მხოლოდ ის აბიტურიენტები, რომლებიც მისაღებ გამოცდებზე ყველა საგანში მიიღებენ ნიშნებს „ხუთს“ და „ოთხს“.

დაწვრილებითი ცნობების მისაღებად მიმართეთ ინსტიტუტის მიმღებ კომისიას (თბილისი, ლენინის ქ. № 77).

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონებია:

380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეებისა — 99-93-03, 99-03-09, **პ/მდივნის** — 99-72-80, **სამდივნოსი** — 99-66-10, **განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების** — 99-87-61, **მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის** — 93-22-93, **მრეწველობისა და ტრანსპორტის** — 93-20-84, **სოფლის მეურნეობის** — 99-52-46, **საბჭოთა მშენებლობის** — 93-18-70, **მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების** — 93-27-58, **ლიტერატურისა და ხელოვნების** — 99-55-01, **კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის** — 93-95-98, **ადგილობრივი ინფორმაციის** — 93-16-90, **უცხოეთის ინფორმაციის** — 99-60-21, **მეზობელთა წერილების** — 99-73-24, **ილუსტრაციის** — 93-28-54, **საზოგადოებრივი მისაღების** — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 431-08-52; **სოხუმი** — 2-40-19; **ბათუმი** — 3-41-69; **ცხინვალი** — 2-22-52; **ქუთაისი** — 5-26-36; **გორი** — 2-